<u>დანართი №1</u>

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა

სარჩევი

თავი I. წინასიტყვაობა 3

1.1 ზოგადი დებულებები და პროგრამის მიღების საფუძვლები 3
1.2 პროგრამის სტრუქტურა, მეთოდოლოგია და ხედვა 3

თავი II. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა - ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა 7

2.1 გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები 7
2.2 მოსახლეობა და დემოგრაფია 8
2.3 ფიზიკური ინფრასტრუქტურა 10
2.4 გარემო 14
2.5 ეკონომიკური სტრუქტურა და მაჩვენებლები 17
2.6 შრომის ბაზარი, განათლება და გადამზადება 22
2.7 ინვესტიციები, საინოვაციო და ტექნოლოგიური განვითარება 27
2.8 შემოსავალი და სიღარიბე 29
2.9 კულტურული და რეკრეაციული რესურსები 31

თავი III. საქართველოს რეგიონების განვითარების ძირითადი საჭიროებები 33

3.1 შესავალი 33
3.2 SWOT ანალიზის ცხრილი 34
3.3 ძირითადი საჭიროებები 36

თავი IV. ინსტიტუციური და პოლიტიკის კონტექსტი 42

4.1 ინსტიტუციური და პოლიტიკის კონტექსტი საქართველოში 42
4.2 საერთაშორისო ხელშეკრულებები და დაფინანსების საგარეო წყაროები 47

თავი V. პროგრამის მიზნები და პრიორიტეტები 50

5.1 შესავალი 50
5.2 საერთო მიზანი 50
5.3 კონკრეტული მიზნები 51
5.4 პრიორიტეტები 52

თავი VI. პროგრამული ღონისძიებები 55

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის სახელმძღვანელო ფორმა, პროგრამის მონიტორინგის ხელშეწყობისთვის (დანართი #2) 68

თავი I. წინასიტყვაობა

1.1 ზოგადი დებულებები და პროგრამის მიღების საფუძვლები

2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) არის საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს და ადგენს საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის.

პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც კონცენტრირებული და კოორდინირებულია რეგიონულ დონეზე, ეფუძნება განვითარების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს და მათ შესაბამისად, ქვეყნის მდგრად რეგიონულ განვითარებაზე მიმართული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ გადანაწილებას.

ეს პროგრამა მომზადდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის №1315 განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი სამინისტროებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის ჩართულობით.

ამავდროულად, აღნიშნული პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე და დაგეგმილი თანამშრომლობის ფარგლებში, მათ შორის, ევროკავშირის საბიუჯეტო და სექტორული დახმარების პროგრამის ფარგლებში. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, პროგრამის შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელება პირდაპირ პასუხობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებისა და ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისი დებულებების განხორციელების მიზნებს.

ის მიდგომა, რომელიც აისახება პროგრამაში, არის ბევრად უფრო კომპლექსური და კოორდინირებული, ვიდრე ეს აქამდე იყო და მოითხოვს საქართველოს იმ სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების უფრო მეტ თანამშრომლობასა და ჩართულობას, რომელთა საქმიანობასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ქვეყნის რეგიონულ განვითარებაზე.

1.2 პროგრამის სტრუქტურა, მეთოდოლოგია და ხედვა

პროგრამაში გაწერილია საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკა და ამ პოლიტიკის განხორციელებისთვის აუცილებელი საკვანძო პრიორიტეტები (თავი 5) და შესატყვისი ღონისძიებები (თავი 6). მათ წინ უსწრებს რეგიონული განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობის მიმოხილვა (თავი 2) და შესაბამისად, გამოვლენილი ძირითადი საჭიროებები (თავი 3). №2 დანართში მოცემულია სპეციალური სახელმძღვანელო ფორმა პროგრამის პრიორიტეტებისა და პროგრამული ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის ხელშეწყობისთვის.

აქვე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ ზოგად, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე:

1. ამ პროგრამის შემუშავების პირველი ეტაპისთვის, საწყის წერტილს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო

სტრატეგია (სრგსს). თუმცა, გარემოებები – საქართველოს პოლიტიკის ფართო კონტექსტი და საკუთრივ პოლიტიკა – მნიშვნელოვნად შეიცვალა და განვითარდა აღნიშნული სტრატეგიის მიღების შემდეგ, რამაც, ლოგიკურად, განაპირობა ახალ რეალობებზე მაქსიმალურად მორგებული და ევროკავშირის სტანდარტებთან მეტად დაახლოებული პროგრამის მომზადება. უფრო კონკრეტულად, ეს გარემოებები გახლდათ შემდეგი:

2012 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, მოხდა ახალი ხელისუფლების არჩევა, რასაც მოჰყვა სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირება, როგორც საერთო დონეზე (მაგ.: ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის) ასევე, კონკრეტულ დარგებთან და სექტორებთან მიმართებაში (მაგ.: სოფლის მეურნეობა, განათლება, მათ შორის, პროფესიული სწავლების ჩათვლით, ჯანდაცვა, დასაქმება და სხვა). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაიწყო ახალი პოლიტიკის შემუშავება როგორც რეგიონულ და ადგილობრივ განვითარებასთან მიმართებაში, ასევე, დაიწყო ზრუნვა, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალი ეროვნული პლატფორმის შემუშავებისთვის.

კიდევ უფრო განვითარდა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებიც. კერძოდ, 2013 წლის აგვისტოში საქართველოსა და ევროკავშირს შორის დასრულდა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმებაზე, რამაც მხარეებს შესაძლებლობა მისცა 2013 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე მოეხდინათ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, ხოლო 2014 წლის ივნისის თვეში კი, ხელი მოეწერათ ასოცირების ხელშეკრულებაზე.

გარდა ამისა, 2010 წელს, სრგსს-ის მიღების შემდეგ (რომელიც ასახავდა 2009 წლის და უფრო ადრინდელი პერიოდის ანალიზს), საქართველოს ყველა რეგიონისთვის შემუშავდა რეგიონული განვითარების სტრატეგიები. თითოეული რეგიონული განვითარების სტრატეგია მოწონებულ იქნა შესაბამისი რეგიონული განვითარების საბჭოების და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ, ხოლო მოგვიანებით (2013 წლის სექტემბერი), დამტკიცდა საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით. ამგვარი „ქვემოდან-ზემოთ“ დაგეგმვის შედეგები მოითხოვდა მათ სათანადო გათვალისწინებასა და ასახვას ახალ პროგრამაში.

აგრეთვე, 2013-2014 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი) და სხვა სამინისტროებთან ერთად, მუშაობდა რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული მონაცემების განსაზღვრაზე, შეგროვებასა და პრეზენტაციაზე. გარკვეულწილად, ეს სამუშაოები და შესაბამისი მონაცემები რეგიონული განსხვავებების უფრო ზუსტი აღწერის საშუალებას იძლევა (განსხვავებით სრგსს-ის მომზადების პერიოდისა, როდესაც ასეთი მონაცემები ხელმისაწვდომი არ იყო), რაც, ასევე, მოითხოვდა მათ გათვალისწინებას ამ პროგრამაში.

2. საკითხი, რომლის გათვალისწინებაც უმნიშვნელოვანეს საჭიროებას წარმოადგენდა ახალი პროგრამის ფარგლებში, არის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფართო მიზანი. ეს პროგრამა ეფუძნება და დიდწილად შესაბამისობაშია ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის (რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირება) გამოცდილებასთან, ბოლო ათწლეულების მანძილზე. ეს პოლიტიკა მნიშვნელოვნად განმტკიცდა, პირველად,

1990-იან წლებში, რათა დახმარება გაეწიათ შედარებით ნაკლებ განვითარებული წევრი ქვეყნებისთვის, მოგვიანებით კი გამოეყენებინათ ახალი წევრი ქვეყნების მიმართ, მათი გაწევრიანების შემდგომ, არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ამავდროულად, მნიშვნელოვანი იყო, პროგრამა ნაწილობრივ მაინც ყოფილიყო ორიენტირებული კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის მიმართულებაზეც, როგორც უთანასწორობის შემცირების, თუ განვითარების უფრო ფართო საჭიროებების უზრუნველყოფის საშუალებაზე. პროგრამის შემუშავების პროცესში ეს მიდგომები განხილული იქნა, როგორც თავსებადი, რამდენადაც, ხშირ შემთხვევაში, ორივე ამოცანის გადაჭრა იდენტური აქტივობებით არის შესაძლებელი. შემდგომში, ამ ორ მიდგომას შორის განსხვავებაზე აქცენტების დასმის ან მათი კომბინირებული გამოყენებისას, არ გამოირიცხება გარკვეული დაზუსტებების აუცილებლობა - თუ რომელი მიდგომა უკეთ ემსახურება რეგიონების განვითარების საჭიროებებს, დროის კონკრეტულ პერიოდში. მთლიანობაში, ეს პროგრამა მაქსიმალურად მორგებულია და პასუხობს საქართველოს რეგიონული განვითარების სპეციფიურ, მის ყველაზე კრიტიკულ, პირველად და გადაუდებელ საჭიროებებს. საქართველო ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანასთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია, ამიტომაც, ძირითადი ინფრასტრუქტურის და მდგრადი მომსახურების უზრუნველყოფის განვითარებისთვის მიზანშეწონილია უფრო მეტი რესურსების გამოყენება, ვიდრე ეს საჭიროა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის (როგორც უთანაბრობის შემცირების, ასევე, კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნებისთვის).

ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებში, კონკურენტუნარიანობის საკითხის გადაჭრა დიდწილად ეროვნულ დონეზე ხდება და თუმცა შესაბამისი პოლიტიკების მხარდაჭერა სუბნაციონალურ დონეებზეც სათანადოდ ხორციელდება, ამ კონკრეტული პროგრამის პრიორიტეტები და ღონისძიებები უფრო კონცენტრირებულია უთანაბრობების შემცირებაზე და მხოლოდ ნაწილობრივ, ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხარდაჭერაზე. აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს შემდგომ წლებში საქართველოს რეგიონების განვითარებისთვის კონკურენტუნარიანობის საკითხის ნაკლებ პრიორიტეტულობას.

ხაზი უნდა გაესვას რიგ კომპლექსურ გამოწვევებს და მათზე რეაგირების გრძელვადიან ხედვას, კერძოდ: ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი და მზარდი ფაქტორია ბიზნესის მხარდაჭერის ისეთი კომპლექსური სერვისები, როგორებიცაა: კვლევების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ინოვაციები. ეს, ასევე, არსებითია ევროკავშირის განვითარებულ წევრ ქვეყნებთან თუ რეგიონებთან არსებული განხვავებების შემცირებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რეგიონები გადაიქცნენ წამყვან მოთამაშეებად საერთო ეროვნული წარმატების მიღწევაში, ვინაიდან ექსტერნალიები და მზარდი უკუგება - როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ძირითადი მამოძრავებლები - სწორედ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე წარმოიშობა. ამასთან, 2002 წლიდან ევროპის კავშირის საბჭოს მიერ კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა განიხილება, როგორც ევროპის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა მისწრაფებები, არა მარტო გათანაბრების

პოლიტიკის, არამედ, ცოდნაზე დამყარებული, მაღალეფექტიანი ეკონომიკური განვითარების მეშვეობით - როგორც ეროვნულ, ისე, სუბნაციონალურ დონეზე.

თავი II. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა - ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა[1]

2.1 გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები

რუკა. საქართველოს მდებარეობა

საქართველო მდებარეობს შავ და კასპიის ზღვებს შორის და ტერიტორიის ზომის შედარების თვალსაზრისით, იგი ირლანდიისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მსგავსია. ისტორიულად, საქართველო საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან გზაჯვარედინს წარმოადგენდა და დღესაც, გაზისა და ნავთობის ტრანზიტის მნიშვნელოვანი დერეფანია. ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიის მილსადენი. მათ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ევროპის ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკაში. გარდა ამისა, პერსპექტიულია ქვეყნის გავლით აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით ენერგომატარებლების სატრანზიტო ახალი მეგა-პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

ჩრდილოეთით, საქართველოს საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან დიდი კავკასიონის ქედზე გადის, რომელიც სიმაღლით 5000 მეტრს აღწევს, ხოლო სამხრეთ საზღვარი, რომელიც მას თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკებისგან ყოფს, მცირე კავკასიონსა და ჯავახეთის ზეგანზეა გავლებული. დიდი კავკასიონი ყოველთვის ეროვნული თუ კულტურული თვითმყოფადობის სიმბოლოს წარმოადგენდა. გარდა ამისა, კავკასიონის მთები საქართველოს ჰიდრო-ელექტრო და ხე-ტყის რესურსების, ასევე, ტურიზმის პოტენციალის განმსაზღვრელი ფაქტორია.

საქართველოს დასავლეთ საზღვარს შავი ზღვის სანაპირო ქმნის, ხოლო აღმოსავლეთით, მას აზერბაიჯანის რესპუბლიკა ესაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საუკუნის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო და ურბანული განვითარების გამო, საქართველოს

[1] სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული პირველადი მონაცემების გარდა, ამ დოკუმენტის დიაგნოსტიკურ ნაწილში გამოყენებულია სხვა წყაროებიც. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: 1) მსოფლიო ბანკის მიერ 2013 წელს მომზადებული „ურბანული სექტორის სტრატეგია: საქართველოს განვითარებადი ურბანული სისტემა და მისი გამოწვევები“ და 2) „მოხსენება საქართველოს რესპუბლიკაში რეგიონული უთანაბრობების შესახებ“, რომელიც სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ (ISET) ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში მოამზადა.

დაბლობი ტერიტორიის დიდ ნაწილზე ტყეები გაიჩეხა, ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 40%-მდე ჯერ ისევ ტყითაა დაფარული.

ქვეყანას მნიშვნელოვანი ჰიდრო-ენერგო რესურსი გააჩნია (რომელიც საქართველოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნის უდიდეს ნაწილს აკმაყოფილებს). ასევე, მოიპოვება სხვადასხვა სახეობის მინერალური წყლები, რომელთაგან რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდია და წარმატებული კომერციული გამოყენება აქვს. სხვადასხვა დროს საქართველოში წარმატებით მოიპოვებდნენ მანგანუმს, ოქროს, ვერცხლს, სპილენძს და რკინას.

2.2 მოსახლეობა და დემოგრაფია

მას შემდეგ, რაც საქართველომ 1991 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა, მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი მწვავე პოლიტიკური კონფლიქტებისა და ეკონომიკური კრიზისის გამო მკვეთრად შეიცვალა (იხ. დიაგრამა 1.1). მოსახლეობის შემცირება მეტწილად მიგრაციით იყო განპირობებული. 1990-2005 წლებს შორის საქართველომ მოსახლეობის დაახლოებით 20% დაკარგა. ყველაზე დიდი დანაკარგი 1993-1997 წლებში აღინიშნა, როდესაც საქართველოს მოსახლეობა თითქმის ერთი მილიონით შემცირდა. თუმცა, საქსტატის შეფასებით, 2002 წლიდან საქართველოს მოსახლეობა იზრდება და 2014 წელს დაახლოებით 4.5 მილიონი შეადგინა.

1990-იან წლებში მოსახლეობის შემცირება მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა, მაგრამ კლება ყველაზე მეტად მაღალმთიან რეგიონებში, მონო-ინდუსტრიულ ქალაქებსა და იმ რაიონებში დაფიქსირდა, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური უმცირესობები (სომხები და აზერბაიჯანელები) შეადგენდნენ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოლიტიკური დაძაბულობებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, საქართველოში ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკმაოდ დიდი რაოდენობა გაჩნდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით, 2014 წლის 8 აპრილის მდგომარეობით, რეგისტრირებული იყო 253 574 დევნილი, ანუ 85 177 ოჯახი.

მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლებების სიდიდე, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვნად განსხვავდება. მთათაშორის დაბლობებსა (სადაც ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტები გადის და რომლებიც ყველაზე ნაყოფიერი ადგილებია) და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოსახლეობა ისტორიულად შედარებით უფრო დიდი რაოდენობით და მჭიდროდ არის დასახლებული, ხოლო მთიანი, განსაკუთრებით კი დიდი კავკასიონის რეგიონი, მეჩხერადაა დასახლებული.

საქართველოს მოსახლეობის არათანაბარი განაწილების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ქალაქ თბილისში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თავმოყრა. მოსახლეობის მეოთხედზე მეტი, ოფიციალურად, ქალაქ თბილისის მცხოვრებია და თუ მის შემოგარენსაც გავითვალისწინებთ (მათ შორის, ქალაქ რუსთავსა და მცხეთას), თანაფარდობა

თითქმის ნახევარს უტოლდება.

თუმცა ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში რეგიონის მოსახლეობის წილი, ძირითადად, უცვლელია; შესაძლებელია, ეს ციფრები უფრო მონაცემების უკმარისობას გამოხატავენ, ვიდრე საქართველოს რეგიონებში არსებულ რეალურ სიტუაციას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რეგიონის მოსახლეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვემო ქართლსა (სადაც მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 13%-დან 11%-მდე შემცირდა) და სამეგრელო-ზემო სვანეთში დაფიქსირდა. ამ უკანასკნელში, მოსახლეობის წილი 9%-დან 11%-მდე გაიზარდა (ძირითადად, აფხაზეთიდან დევნილთა დიდი ნაკადის შემოდინების ხარჯზე - მარტო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 50 000 დევნილია, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს შეადგენს). იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესმა ნაწილმა საქართველოს უდიდეს ქალაქებში მოიყარა თავი, მარტო ქალაქ თბილისში დევნილთა ერთ მესამედზე მეტი ცხოვრობს. იძულებით გადაადგილებულ პირთა კონცენტრაციის სხვა ძირითადი ქალაქებია: გორი, ქუთაისი და მის მეზობლად მდებარე წყალტუბო.

ბოლო ათწლეულის მანძილზე მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი ზრდა, მხოლოდ, სამ რეგიონში - აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში აღინიშნა (ამ რეგიონებზე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შედარებით დიდი წილი მოდის). საქართველოს 6 რეგიონში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) ყოველწლიურად გარდაცვლილთა რაოდენობა ახალშობილთა რაოდენობას აღემატება. ეს, ნაწილობრივ, მიგვანიშნებს მოსახლეობის დაბერების პროცესზე, რაც ახალგაზრდების მიერ რეგიონის დატოვებით არის გამოწვეული. რადგან საერთაშორისო მიგრაციის შესახებ არანაირი სისტემური მონაცემები არ არსებობს, შიდა მიგრაციის ციფრები შინამეურნეობის ინტეგრირებულ გამოკვლევაზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს. ბოლო შეფასებების[2] თანახმად, 15 წელს ზემოთ ასაკის საქართველოს მოსახლეობის 66%-მა სახცოვრებელი შეიცვალა ქვეყნიდან გაუსვლელად, აქედან 11% ბოლო 5 წელიწადზე მოდის. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შიდა მიგრანტების დიდი ნაკადის შემოდინება დედაქალაქში ხდება, სადაც ზოგიერთ რაიონში ახლად გადმოსახლებულები მცხოვრებთა მთლიანი რაოდენობის 20%-ზე მეტს შეადგენენ. პარალელურად, მოსახლეობის რაოდენობა იკლებდა როგორც ყველა სხვა დიდ და საშუალო ზომის ქალაქში, ასევე, თითქმის ყველა მცირე ზომის ქალაქში. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური იყო 1992-2002 წლებში, თუმცა ქალაქი თბილისისთვისაც კი მოსახლეობის ამგვარი შემოდინება ვერ ახდენს საზღვარგარეთ მიგრაციის კომპენსირებას.

მიგრაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი აღსანიშნავი გარემოებაა ის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და შემდეგაც საზღვარგარეთ მიგრირებულთა უმრავლესობას, ქალაქთან შედარებით, კარგად განათლებული მცხოვრებლები შეადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ, რაოდენობის თვალსაზრისით, ქალაქის მოსახლეობის დანაკარგის ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინა, მიგრაციის

[2] (ISET), 2013 წლის კვლევა.

ტენდენციამ ურბანული მუშაკების კვალიფიკაციისა და სამუშაო უნარ-ჩვევების დონის შენარჩუნებაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით, ზრდასრული მოსახლეობის 90%-ზე მეტი უმეტეს ქართულ რეგიონში ეთნიკურად ქართველია (იხ. დიაგრამა 1.1). ძირითად ეთნიკურ უმცირესობებს სომხები და აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, რომლებიც კონკრეტულ რეგიონებში არიან თავმოყრილნი. სომეხი მოსახლეობის უდიდესი წილი სამცხე-ჯავახეთზე მოდის, ხოლო აზერბაიჯანელები, ძირითადად, ქვემო ქართლსა და კახეთში არიან დასახლებულნი. ოსები შიდა ქართლის ზრდასრული მოსახლეობის 4%-ს შეადგენენ, ხოლო რუსები - ქალაქ თბილისის მოსახლეობის, მხოლოდ, 2%-ს.



წყარო: საქსტატი. 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით

2.3 ფიზიკური ინფრასტრუქტურა

ტრანსპორტი

საქართველოში საავტომობილო გზების ქსელი 20 000 კმ-ს აღემატება. საერთო სარგებლობის გზები სამ კატეგორიადაა დაყოფილი: საერთაშორისო მნიშვნელობის გზები, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. 2007 წლის იანვრიდან ადგილობრივი მნიშვნელობის გზები ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაშია. ამავე დროს, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების 2000 კმ-ზე მეტს შიდასახელმწიფოებრივი გზების სტატუსი მიენიჭა.

საავტომობილო ქსელის აქტივების ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია შესაბამისი თანამედროვე სისტემებით უზრუნველყოფილი სწორი და განახლებადი მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაგეგმარებისა და შესყიდვის შესაბამის სახელმძღვანელოებთან ერთად, ჯერჯერობით არ ხორციელდება თანამედროვე მეთოდებით მათი სრულფასოვანი განახლება, პრიორიტეტების

ინდიკატორული შეფასება და ყოველწლიური ადგილობრივი ქსელის ერთიანი გეგმის შემუშავება.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების ქსელისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს, ყოველწლიურად, მონაცემების (მოძრაობის ნაკადები (AADT), საფარის საერთაშორისო უსწორმასწორობის კოეფიციენტი (IRI)) განახლებას, დამუშავებას და საერთაშორისოდ აპრობირებული საგზაო საფარის მოდელირების სისტემით (HDM4) 5-წლიანი გეგმის მომზადებასა და განახლებას. ამჟამად, არ არის დანერგილი ხიდების ინვენტარიზაციისა და დაგეგმარების სისტემა. აღნიშნული სისტემის შემუშავება, ისევე, როგორც დამატებითი საველე აღჭურვილობის შესყიდვა, მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით.

ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების მიუხედავად (განსაკუთრებით საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე), მთლიანობაში, ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოითხოვს შემდგომ დიდ ძალისხმევას, განსაკუთრებით - რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

რაც შეეხება სოფლებს, მათ უმრავლესობის პრობლემა ტრანსპორტის ნაკლებობა და ცუდი გზებია, განსაკუთრებით - მაღალმთიან რეგიონებში.

ქვეყანაში, მხოლოდ, 1300 კმ-ზე ცოტა მეტი მოქმედი სარკინიგზო მაგისტრალია. [3] საქართველოს რკინიგზა, რომელსაც 2007 წლიდან ბრიტანული კომპანია მართავს, მგზავრთა ბრუნვის თვალსაზრისით, შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობს, თუმცა ტვირთბრუნვის თვალსაზრისით, ის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ტვირთბრუნვის 40%-ზე მეტი, სწორედ, საქართველოს რკინიგზაზე მოდის. იქიდან გამომდინარე, რომ სარკინიგზო ქსელი, ძირითადად, საქართველოს მთავარ ურბანულ ცენტრებს აერთებს, გარდაუვალია, მიწოდებაში დიდი რეგიონული შეუსაბამობა. საქართველოს რკინიგზაზე ხელმისაწვდომობა დაბალია კახეთში, მოსახლეობის დიდი რაოდენობისა და გეოგრაფიული ბარიერების არარსებობის მიუხედავად. საქართველოს სამხრეთის ორ რეგიონზე (ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი) გაივლის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რაც მათ აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების მაგისტრალური ცენტრის ფუნქციას შესძენს.

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ოთხი საზღვაო პორტი მოქმედებს: ფოთი და ყულევის ნავთობტერმინალი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, ბათუმი - აჭარაში და სუფსის ნავთობტერმინალი - გურიაში. ამ პორტების ინფრასტრუქტურის მიერ რეგიონებზე გავლენის დეტალური შეფასებისთვის არასაკმარისი მონაცემები მოგვეპოვება, თუმცა მთლიანი დამატებული ღირებულების (მდღ) მონაცემებიდან გამომდინარე, ამ პორტებს თავიანთ რეგიონებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ[4].

---

[3] საქართველოს რკინიგზა.
[4] (ISET), 2013 წლის კვლევა.

ცხრილი 1.1. საქართველოს რეგიონების გზებით უზრუნველყოფა, 2013 წ, კმ

	საერთაშორისო მნიშვნელობის	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის
საქართველო-სულ*	1600.8	5308.3
ქ. თბილისი	52.0**	_
აჭარის ა/რ	54.3	152.7
აფხაზეთის ა/რ (გულრიფშის რაიონის ჩათვლით)	204.0	401.6
გურია	61.8	219.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	_	388.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	116.1	744.4
იმერეთი	140.9	795.0
კახეთი	125.0	730.1
მცხეთა-მთიანეთი	172.3	460.3
სამცხე-ჯავახეთი	236.5	286.1
ქვემო ქართლი	229.2	657.2
შიდა ქართლი (ჯავის რაიონის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ჩათვლით)	208.7	473.4
* ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძის გარდა.		

წყარო: საქსტატი

ამჟამად, საქართველოს სამი საერთაშორისო და ერთი შიდა აეროპორტი ემსახურება. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ყველაზე დატვირთულია. მასზე აერომგზავრთა მთლიანი ბრუნვის 87% მოდის და სხვა აეროპორტებთან შედარებით, ყველაზე მეტ საერთაშორისო და შიდა ფრენებს ასრულებს. ეს უთანაბრობა უფრო თვალსაჩინოა ტვირთბრუნვის შემთხვევაში, რადგან სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2012 წლის მონაცემების თანახმად, საჰაერო ტვირთების 98%-ზე მეტი თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე მოდის. ასეთი სურათის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, არსებული მდგომარეობა სრულიად ბუნებრივია. ამ ზომის ქვეყნების უმეტესობას, მხოლოდ, ერთი ძირითადი საერთაშორისო აეროპორტი ემსახურება.

წყალმომარაგება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წყლის რესურსებით მდიდარია, საბოლოო მომხმარებლებისთვის წყლის დაუბრკოლებლად მიწოდება ყველგან, ბოლო წლებშიც კი, ვერ ხერხდება. 2000-იანი წლების შუა პერიოდისთვის, არსებული წყლის მილების დაახლოებით 60% ცუდ მდგომარეობაში იყო, რაც ხშირ ავარიებს, სასმელი წყლის დაბინძურებასა და სანიტარულ ნორმებთან მისი ხარისხის შეუსაბამობას იწვევდა. ტექნიკური დანაკარგი 40%-ს[5] აღწევდა. ბოლო პერიოდში, რამდენიმე საერთაშორისო დონორის მხარდაჭერით, განხორციელებული პროექტის წყალობით, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, განაკუთრებით – კომპაქტურად დასახლებულ ცენტრებში. თუმცა, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემას უფრო მეტი განვითარება სჭირდება. ამჟამად, ქალაქის მოსახლეობის 10%-ზე ცოტა ნაკლებს და სოფლის მოსახლეობის ნახევარს საცხოვრებელ ბინებში

[5] UNECE: საბინაო მოხსენება/კვლევა; საქართველო, 2006.

ცენტრალური წყალმომარაგება არ აქვთ და წყლის გარე ონკანებსა და ჭებზე არიან დამოკიდებულები[6].

საქართველოში სასმელი წყალი, ძირითადად, გრუნტის წყლის დებეტებიდან მოიპოვება. ქართული დასახლებების უმეტესობა წყალს წყვეტილად იღებს და წყლის ავზების უმეტესობა დაუცველია. შედეგად, მათგან მიღებული წყალი ხშირად ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ სტანდარტებს. 2000-იანი წლების შუა პერიოდში წყლის 24-საათიანი მომარაგება ჯერ კიდევ, მხოლოდ, ქალაქების - ბათუმის, გორის, სამტრედიის და თბილისის მოსახლეობის ნაწილს ჰქონდა. ქალაქ რუსთავსა და ქალაქ ქუთაისშიც კი წყლის ყოველდღიური მიწოდება სისტემატიური არ იყო. მომდევნო პერიოდში მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა წყლის მომარაგება არასისტემატიური რჩება საქართველოს უმეტეს ურბანულ დასახლებაშიც კი, მათ შორის, დიდ ქალაქებშიც, გარდა ქალაქი თბილისისა.

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა, რეგიონების მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება. საქსტატის 2012 წლის მონაცემების თანახმად, წყალმომარაგება საცხოვრებელ სახლებში 97,6 %-ით, მხოლოდ, თბილისშია უზრუნველყოფილი. ქვემო ქართლის მაჩვენებელი 47% შეადგენს. შიდა ქართლის, სამცხე ჯავახეთის, აჭარის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის მონაცემები აგრეგირებულია და მათი წილი 43.8 %-ია. დანარჩენ რეგიონებში ეს მონაცემი კიდევ უფრო ნაკლებია. საერთო ჯამში, ქალაქ თბილისსა და ურბანიზებულ რეგიონებს უკეთესი წვდომა აქვთ სასმელ წყალზე. გამონაკლისია სამეგრელო-ზემო სვანეთი, სადაც რეგიონის შედარებით უფრო ურბანიზებულობის მიუხედავად, ოჯახების უმეტესობა წყალს ჭებიდან იღებს და არა – სახლებს შიგნით, თუ გარეთ არსებული ონკანებიდან.

ბუნებრივი აირი/გათბობა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მანამდე ფართოდ გამოყენებული რაიონული გათბობის სისტემა სრულიად მოიშალა და ბუნებრივი აირი შიდა გათბობის გავრცელებულ რესურსად იქცა. ქალაქი თბილისი ერთადერთია, სადაც ბუნებრივი აირის ცენტრალური სისტემა მთლიანადაა დამონტაჟებული. სხვა რეგიონებში გაზიფიცირება მიმდინარეობს ან ახლა იწყება. დღესდღეობით, საქართველოში შინამეურნეობების 25%-ზე ნაკლებს აქვს სახლში ცხელი წყლისა და გათბობის სისტემა, ეს 25 პროცენტიც, ძირითადად, აჭარასა და ქალაქ თბილისშია განაწილებული.

ელექტროენერგია

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ენერგორესურსებით მომარაგების თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. საჯარო პოლიტიკის, კერძოდ კი – ჰიდროელექტროენერგიის განვითარებისა და კორუფციასთან ბრძოლის შედეგად, საქართველო ენერგოდამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, 2012 წლამდე იყო ენერგიის ექსპორტიორიც.

დღეს, საქართველოში ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულია მოსახლეობის 92%-ზე მეტი. 2015 წლისათვის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო გეგმავს ინდივიდუალური

[6] ვან ბრუსენგემი & აბრამია, 2011, 15.

გამრიცხველიანების მიმდინარე პროგრამის დასრულებას. 2015 წლისათვის, მოსახლეობის 100% ინდივიდუალურად გამრიცხველიანებული იქნება.

დღესდღეობით, საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის 80%-ზე მეტი ადგილობრივი ჰიდროელექტროწყაროებიდან მიიღება. თუმცა, ელექტროენერგიის მიწოდება და მოხმარება სეზონურად განსხვავდება. ზაფხულის განმავლობაში ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია საქართველოში არსებულ მოთხოვნას მნიშვნელოვნად აღემატება, მაგრამ ზამთარში, საწვავის გარკვეული რაოდენობის იმპორტი ხდება საჭირო.

ტელეკომუნიკაცია

საქართველოში ფიჭური ტელეკომუნიკაციები მოიცავს G GSM 900 და 1800 სტანდარტების სამ ფიჭურ სატელეფონო ქსელს და UM UMTS 2100 სტანდარტის ორ ქსელს. ფიჭური ქსელის ბაზარი 2013 წელს 4 999 000 რეგისტრირებულ აბონენტს ითვლიდა. 2013 წლის მდგომარეობით, ფიჭური სატელეფონო ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიის 99%, ხოლო ყოველ 100 სულ მოსახლეზე აბონენტების სიმკვრივის მაჩვენებელმა 111.4% მიაღწია.

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების აბონენტების რაოდენობამ 2013 წელს 1.20 მლნ აბონენტი, ხოლო სიმკვრივემ 94.1% შეადგინა. ამასთან, სატელეფონო სიმკვრივე ქალაქ თბილისში 108.5%-ს შეადგენს, ქალაქ ქუთაისში - 102.0%-ს, ქალაქ ბათუმში - 93.6%-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ზუგდიდის გამოკლებით) - 2.1%, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში კი -2.9%-ს. მთლიანად, საქართველოში კომუტირებადი სადენიანი ტელეფონიის სიმკვრივე 45.0%-ია.

2013 წელს ქვეყანაში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობამ 2 169 129 შეადგინა. ფიქსირებული კავშირის ინტერნეტი, მხოლოდ, ურბანულ დასახლებებშია ხელმისაწვდომი, ხოლო მაღალი სიჩქარის ფიჭური ტელეფონის ინტერნეტი (HSPA+/3.5G) სასოფლო ტერიტორიების, მხოლოდ, 50%-ს ფარავს. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზებით ამ ეტაპზე დაფარულია ძირითადი ქალაქები.

2014 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალურ ანგარიშში მოყვანილი ქსელური მზადყოფნის ინდექსში (NRI) 148 ქვეყნიდან საქართველომ რეიტინგულ ცხრილში მე-60 ადგილი დაიკავა.

2.4 გარემო

ჰაერის ხარისხი

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში ბევრი მსხვილი საწარმოს დახურვის შედეგად, ინდუსტრიული სექტორის გამო, ჰაერის დაბინძურება მკვეთრად შემცირდა. უფრო მეტიც, ბოლო ათწლეულში, ინდუსტრიული წარმოების ზრდის მიუხედავად, ჰაერში საწარმოო გამონაბოლქვი კვლავ განაგრძობდა კლებას. სამშენებლო სექტორის მიერ ჰაერის დაბინძურების ზუსტი მონაცემები არ მოიპოვება. თუმცა, ზოგადი შეფასებით, ჰაერის დაბინძურება მატულობს.

ნებისმიერ ქვეყანაში, როგორც წესი, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარი

წილი მძიმე მრეწველობაზე, ტრანსპორტსა და ენერგეტიკაზე მოდის. ყველა ეს საქმიანობა, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობა, უმეტესად, გეოგრაფიულად კონცენტრირებულია და შედეგად, რეგიონულ განსხვავებებს ვიღებთ. შესაბამისად, აღარაა გასაკვირი, რომ დაბინძურების სტაციონარული წყაროების არსებობის გამო, საქართველოში ჰაერის ხარისხში მნიშვნელოვან რეგიონულ განსხვავებებს ვხვდებით.

საქართველოში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დიდი წილი იმერეთსა და ქვემო ქართლზე, ხოლო უფრო ნაკლებად შიდა ქართლსა და აჭარაზე მოდის. ამ რეგიონებში დაბინძურებას უმეტესად კონკრეტულ ქალაქში არსებული ერთი საწარმო იწვევს. საქართველოში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის საერთო დაბინძურების ნახევარი სულ რაღაც სამ ქალაქში გამომუშავდება. ესენია: ზესტაფონი, რუსთავი და კასპი. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2010 წ მონაცემების მიხედვით, ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მთავარ წყაროს წარმოადგენენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის სასუქის საწარმო, ბათუმის ნავთობტერმინალი, გარდაბნის ელექტროსადგური და კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნები.

სხვა ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, საქართველოშიც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარი მობილური წყარო საგზაო ტრანსპორტია. ამ წყაროდან ჰაერის დაბინძურების დონე დამოკიდებულია: ავტოსატრანსპორტო საშუალების რაოდენობაზე, ტიპსა და მდგომარეობაზე; საწვავის სახეობასა და ხარისხზე; სატრანსპორტო ნაკადის მართვაზე და ბუნებრივი ვენტილაციის პირობებზე. 2010 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 800 000-ზე მეტი მოქმედი სატრანსპორტო საშუალება იყო (რომლის 41% ქალაქ თბილისშია თავმოყრილი). მათი 82% ათ წელზე მეტისაა და ცუდ მდგომარეობაშია, რაც აშკარად ზრდის ჰაერში მავნე ნივთიერების გაფრქვევას.

სანიტარია და წყალარინების სისტემა

2000 წლამდე საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედი უზრუნველყოფილი იყო წყალარინების სისტემებითა და 45 ქალაქში წყლის გამწმენდი ნაგებობები არსებობდა. არსებული მონაცემების თანახმად, წყალარინების სისტემების უდიდესი ნაწილი ცუდ მდგომარეობაში იყო, რაც მიწისქვეშა წყლების რესურსების მნიშვნელოვან დაბინძურებას იწვევდა[7]. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2004 წლის მონაცემების თანახმად, 2003 წლისთვის, წყალარინების წყლის გამწმენდი საშუალებები, მხოლოდ, ქალაქებში, თბილისსა და ხაშურში იყო, თუმცა 2014 წლისთვის ბიოლოგიური გაწმენდის საწარმოები ქალაქებში, ბათუმსა და საჩხერეშიც ამოქმედდა. დიდი ქალაქების ფარგლებს გარეთ მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა. სოფლად წყალარინების სისტემა არაა ხელმისაწვდომი. ეს მდგომარეობა მეტ-ნაკლები სხვაობით საქართველოს ყველა რეგიონში აღინიშნება.

[7] გაეროს ბავშვთა ფონდი, 2012; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2004.

მყარი ნარჩენები

საქართველოში არსებული მყარი ნარჩენების რაოდენობის ზუსტი ციფრები არ არსებობს. დღეისათვის მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და გამოტანას სოფლებიდან. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მყარი ნარჩენების რეალური რაოდენობის ციფრებში გამოსახვა შეუძლებელია. ბოლო კვლევის თანახმად[8], მყარი ნარჩენების დაახლოებით 1/3-ის შეგროვება და განთავსება ხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე, ხოლო დანარჩენი უმართავ, სპონტანურად შექმნილ ნაგავსაყრელებზე ხვდება. ამასთან, მწირია ხელმეორედ გადამუშავებისთვის ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების შესაძლებლობა. ქვეყანაში ფუნქციონირებს, მხოლოდ, რამოდენიმე ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე საწარმო (კომპოსტირების, პლასტმასის, მინის, ქაღალდის და სხვა გადამამუშავებლები).

რაც შეეხება დედაქალაქს, აქ წლიურად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა დაახლოებით ყველა რეგიონში ერთად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობას უტოლდება. ამასთან, ქალაქი თბილისი უზრუნველყოფილია გენერირებული ნარჩენების შეგროვება-გატანისათვის შესაბამისი სამუშაო ძალითა და ტექნიკით. თუმცა არც ქალაქ თბილისში ხორციელდება ნარჩენების სეპარაცია წყაროზე. ქვეყანაში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე მუნიციპალური ნაგავსაყრელიდან, მხოლოდ, თბილისის, რუსთავ-გარდაბანისა და ბორჯომის ნაგავსაყრელები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან შეთანხმებულია 2014-2017 წლებში იმერეთსა და ქვემო ქართლში რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა. განხორციელდა ქუთაისის, თელავის, მცხეთის, ახალციხის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ამბროლაურის ნაგავსაყრელების კეთილმოწყობის პროექტები. დაგეგმილია და მიმდინარეობს დამატებით 11 ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის პროექტები.

საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენების მართვა რეგულირდება სხვადასხვა კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში გაფანტული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული ნარჩენების მართვის ჩარჩო კანონი. პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი საწარმოების მიერ გენერირებული სამრეწველო ნარჩენების სტატისტიკური მონაცემები და მათი მართვა. მეტიც, ფაქტიურად არ არსებობს ზუსტი მონაცემები 1970-იან და 80-იან წლებში აქტიური ინდუსტრიული საქმიანობის შედეგად დარჩენილი სამრეწველო ნარჩენების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ.

ბუნებრივი კატასტროფები

რთული ტოპოგრაფიისა და მთიანი რელიეფის, სპეციფიკური ატმოსფერული პირობებისა და ადამიანის საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის გამო, ბუნებრივი კატასტროფები საკმაოდ ხშირი და მკაცრი ხასიათისაა. ბუნებრივი კატასტროფების ძირითადი შემთხვევები (წყალდიდობა, მეწყერი, მიწისძვრა, ქარიშხალი, ღვარცოფი, ნაპირების წარეცხვა) მნიშვნელოვნად მოქმედებს ეკონომიკაზე, აზიანებს ინფრასტრუქტურას

8 დაასუფთავე საქართველო, 2012.

და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

2.5 ეკონომიკური სტრუქტურა და მაჩვენებლები

მიმოხილვა

საქართველოს რეგიონებს შორის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წილის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. ასეთივე სხვაობაა ურბანულ და სასოფლო ტიპის დასახლებებს შორის. ქვეყნის მშპ-ს ნახევარი ქალაქ თბილისში იწარმოება. ამასთან, მშპ-ს მნიშვნელოვნად უფრო მაღალი წილი რეგიონებზე მოდის, სადაც დიდი ქალაქებია განლაგებული (ქუთაისი - იმერეთში, რუსთავი - ქვემო ქართლში, ბათუმი - აჭარაში, ფოთი და ზუგდიდი - სამეგრელოში), ვიდრე სასოფლო ტიპის რეგიონებზე, ამ უკანსაკნელთა დიდ ქალაქებთან და მთავარ სატრანსპორტო მაგისტრალებთან სიახლოვის მიუხედავად.

რეგიონები ეკონომიკის სექტორების სტრუქტურითაც განსხვავდება ერთმანეთისგან. ძირითადად, ესაა 3 მთავარი სექტორი: ეკონომიკის პირველადი სექტორი - სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და თევზაობა; მეორადი სექტორი - მრეწველობა, საყოფაცხოვრებო პროდუქციის გადამუშავება და მშენებლობა და მესამე რიგის სექტორი - ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სახელმწიფო მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ. (იხ. დიაგრამა 1.2).

ქალაქ თბილისს, როგორც ქვეყნის ყველაზე ურბანიზებულ ადმინისტრაციულ ერთეულს, რამდენამდე მნიშვნელოვანი პირველადი სექტორი არ გააჩნია. მასზე, მხოლოდ, მეორადი სექტორის მცირედი წილი, ხოლო მესამე რიგის სექტორის, სხვა რეგიონებს შორის, ყველაზე დიდი წილი მოდის. ქვემო ქართლსა და შიდა ქართლს მეორადი სექტორის დიდი წილი აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თუმცა სამრეწველო დარგები ქალაქ თბილისში არ არის დაფუძნებული, მის მიმდებარე რაიონებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. მეორადი სექტორის შედარებით დიდი წილი ისეთ რეგიონებზე მოდის, როგორებიცაა იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, აჭარა, სამეგრელო და ზემო სვანეთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატის ეროვნული ანგარიშების საფუძველზე, რეგიონების დონეზე მდღ-ის მონაცემების აღრიცხვას აწარმოებს (მცხეთა-მთიანეთი შიდა ქართლთან, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი – იმერეთთანაა გაერთიანებული). არის რამდენიმე მიზეზი, რის გამოც მდღ-ს მონაცემების ინტერპრეტირება ფრთხილად უნდა მოხდეს, რადგან ეკონომიკური საქმიანობის ზუსტი ადგილმდებარეობა ხშირად გაურკვეველია, განსაკუთრებით იქ, სადაც რეგიონები შედარებით პატარა და ეკონომიკური თვალსაზრისით კარგად ინტეგრირებულია.

აჭარაში სამშენებლო სექტორს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ხოლო შედარებით ნაკლები წილი ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაზე მოდის. სამეგრელოს და ზემო სვანეთს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სექტორი აქვს, რაც, დიდწილად, ფოთის პორტთან არის დაკავშირებული. იმერეთში გამოკვეთილადაა წარმოდგენილი სახელმწიფო მმართველობის, განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა შემცირდა. თუმცა მრეწველობის მაჩვენებლებთან შედარებით ეს

შემცირება უფრო ნაკლები იყო, რის შედეგადაც სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში გაიზარდა. საბოლოო ჯამში, სასოფლო-სამეურნეო მიწების მასობრივმა პრივატიზაციამ, რასაც თან ახლდა ინვესტირების დაბალი დონე და რუსეთის ბაზრის ჩაკეტვა, სოფლის მეურნეობაში წარმოების მასშტაბების შემცირება გამოიწვია - მაშინ, როცა სხვა არასასოფლო სამეურნეო დარგები (მაგალითად, საბანკო, ტელეკომუნიკაცია, ენერგეტიკა, ტურიზმი, მშენებლობა და საჯარო სამსახური) მკვეთრად გაიზარდა.



დიაგრამა 1.2. მდღ-ს განაწილება სექტორების მიხედვით, 2006-2012 წწ.

წყარო: საქსტატი

2013 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოს ნომინალური მშპ 26,8 მილიარდ ლარს (16,1 მლრდ. აშშ დოლარი) გაუტოლდა, ხოლო მშპ-ს რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 3,2% შეადგინა. 2013 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 5 982,6 ლარს გაუტოლდა (3 596,6 აშშ დოლარი). 2012 წლის მონაცემებით, საქართველოს ნომინალურმა მშპ 26,2 მილიარდი ლარი (15,8 მლრდ. აშშ დოლარი) შეადგინა.

2013 წლის წინასწარი მონაცემებით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს მშპ-ში მნიშვნელოვანი ზრდა შემდეგ სექტორებში დაფიქსირდა: სოფლის მეურნეობა (9,8%), დამამუშავებელი მრეწველობა (8,4%), ოპერაციები უძრავი ქონებით (7,5%), საფინანსო საქმიანობა (7,4%), სასტუმროები და რესტორნები (7,2%), ვაჭრობა (5,1%), ტრანსპორტი (4,9%), განათლება (4,6%), ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება განაწილება (4,0%).

ამავე წლის წინასწარი მონაცემებით, მშპ-ში ყველაზე მაღალი წილი შემდეგ სექტორებზე მოდის: ვაჭრობა (17,3%), მრეწველობა (17,2%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,7%), სახელმწიფო მმართველობა (10,1%), სოფლის მეურნეობა (9,3%), მშენებლობა (6,7%), ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (5,8%).

რეგიონული წარმოება

ქალაქი თბილისი, უდავოდ, ქვეყნის ეკონომიკური ცენტრია. მისი მოსახლეობა 1.2 მილიონ ადამიანს შეადგენს. ეკონომიკური საქმიანობის არაპროპორციულად დიდი წილი, სწორედ, დედაქალაქშია თავმოყრილი, თუმცა მისი წილის შეფასება შეიძლება გადაჭარბებულიცაა, რადგან რეგიონში მიმდინარე ბიზნეს-საქმიანობის რეგისტრირება, ხშირად, მაინც დედაქალაქში ხდება. საქსტატის მონაცემებით, 2006 წელთან შედარებით, 2012 წელს რეგიონების წილი (ქალაქ თბილისის გარდა) მშპ-ში უმნიშვნელოდ შემცირდა. გამონაკლისს აჭარა წარმოადგენდა, რომლის მონაცემები 6.1%-დან 7,4%-მდე გაიზარდა. 2006

და 2012 წლებს შორის რეგიონში წარმოებული პროდუქტის შესაბამისი წილი შედარებით უცვლელი დარჩა. გამონაკლისი იყო აჭარა, რომელზეც 2006 წელს მდღ-ის 6.1% მოდიოდა, ხოლო 2012 წელს - 7.4%.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, დროის აღნიშნულ მონაკვეთში, ქალაქ თბილისის გარეთ მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებების არსებობაზე, მხოლოდ, რამდენიმე პირდაპირი ინდიკატორი მიუთითებს. მდღ-ის რეგიონული დაყოფა გვიჩვენებს, რომ 2012 წლის მიხედვით, საქართველოში შექმნილი მდღ-ის 49.7% დედაქალაქზე მოდის. მეორე ადგილზეა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი (11.8%); ქვემო ქართლი (ქალაქი რუსთავი და ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სადაც პოლიმეტალური მაღარო და ოქროს წარმოება ფუნქციონირებს) ამ მაჩვენებლის მიხედვით, ქვეყანაში მესამე ადგილზეა (8.5%). მას მოსდევს აჭარა, სადაც ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და ქალაქ ბათუმის რეაბილიტაციაში მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციები განხორციელდა (7.4%).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სამი უდიდესი რეგიონი (სადაც სულ 1.6 მილიონი ადამიანი ცხოვრობს: იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 704.5 ათასი მცხოვრები; სამეგრელო - 477.1 ათასი და კახეთი - 406.2 ათასი[9]) 2012 წლის მონაცემებით, ქალაქ თბილისში წარმოებული მდღ-ს დაახლოებით 43%-ს აწარმოებს. თუმცა, მთლიანობაში, ერთ სულ მოსახლეზე მდღ-ის ცვლილებების 93%-ზე მეტს ურბანიზაციის დონეები განსაზღვრავს.

ცხრილი 1.2. მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება რეგიონების მიხედვით (მიმდ. ფასებში, მლნ. ლარი)

რეგიონი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
კახეთი	708.2	789.6	981.8	833.8	973.3	1149.7	1161.3
თბილისი	5653.9	7009.5	7913.6	7274.3	8472.6	9914.3	11194.2
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	773.6	917.1	981.3	906.8	1124.9	1334.6	1337.1
ქვემო ქართლი	1228.5	1400.5	1347.7	1325.3	1537.6	1790.6	1917.5
სამცხე-ჯავახეთი	425.2	454.8	526.7	477.4	562.6	665	646.2
აჭარა	738.8	966.9	1224.3	1185.3	1378.9	1621.9	1675.4
გურია	311.9	354.1	326.1	308.6	380.4	437.6	434.4
სამეგრელო -ზემო სვანეთი	918.2	1047.7	1185.8	1216.3	1359	1509.6	1478.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	1288.5	1670.8	2034.6	2018.5	2225.2	2551.9	2660.4
მშპ საბაზისო ფასებში	12046.9	14611.1	16521.8	15546.3	18014.4	20975.4	22505.3
(+) გადასახადები პროდუქტებზე	1800.6	2454.3	2639.3	2530.9	2834.3	3492.7	3790
(-) სუბსიდიები პროდუქტებზე	57.6	71.6	86.3	91.3	105.3	124.1	128.0
მშპ საბაზრო ფასებში	13789.9	16993.8	19074.9	17986	20743.4	24344	26167.3

წყარო: საქსტატი

[9] საქსტატი: http://www.Geostat.ge/index.php?action=page&p_id=472&lang=geo.

თითოეულ რეგიონში წარმოებული ეკონომიკური აქტივობის უფრო დეტალურად განხილვის შედეგად, იკვეთება (იხ. ცხრილი 1.3.), რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელობა, საქართველოს რეგიონების მიხედვით, განსხვავდება. მთლიანობაში, სამცხე-ჯავახეთში სოფლის მეურნეობაში წარმოებული მდღ-ს ყველაზე მაღალი მონაცემია რეგიონალურ და დარგობრივ ჭრილში. ეს, ძირითადად, იმითაა გამოწვეული, რომ ამ რეგიონში პროდუქტის კონსოლიდირება და კომერციულად ორიენტირება ხდება; პროდუქტებს შორისაა კარტოფილი, რძე და ხორცის პროდუქტები, ასევე, მდღ-ის მქონე კალმახი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვით მიღებული შემოსავალი, რა თქმა უნდა, უფრო დაბალია მთიან რეგიონებსა და შედარებით უფრო ურბანიზებულ რაიონებში.

ცხრილი 1.3. მთლიანი დამატებული ღირებულება რეგიონების მიხედვით (%), 2012 წ.

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი და მცხეთა -მთიანეთი	ქვემო ქართლი	სამცხე ჯავახეთი	აჭარა	გურია	სამეგრელო - ზემო სვანეთი	იმერეთი რაჭა-ლეჩხუმი-ქვ. სვ.
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა თევზაობა	24.7	0	17.9	17.7	29.2	7.1	27.3	19.6	13.2
მრეწველობა	10.6	12.1	23.2	37.6	4.5	7.8	4.2	9	12.5
საყოფაცხოვრებო პროდუქტის დამუშავება	6.6	0.7	4.5	3.5	5.9	3.5	6.8	4.6	4.7
მშენებლობა	2.1	11.6	3	2.3	4.5	11.9	1.8	3.8	2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	5.2	27.3	5.2	5.6	5	11.7	3.4	5.4	5.9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1	17.4	3	1	0.9	6.8	0.6	15.5	0.8
საჯარო ადმინისტრაცია	13.3	8.5	20.3	11.5	17.8	11.2	9.5	13.6	14.6
განათლება	8.2	2.1	4	6.6	12.3	6.9	11.2	6.3	9.1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	7.9	5.6	6	3.3	6.2	7.3	8.1	4.6	8.7
სხვა მომსახურება	20.4	14.6	13	10.9	13.7	25.7	27	17.5	28.6
მდღ, სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100

წყარო: საქსტატი

გარდა ამისა, საქართველოსთვის გამოკვეთილად რეგიონული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაც დამახასიათებელია, რაც გულისხმობს, რომ რეგიონები კონკრეტული პროდუქტის

მოყვანაში სპეციალიზირდება (მაგ.: კახეთში აწარმოებენ ღვინოს, სამცხე-ჯავახეთში კარტოფილი მოჰყავთ და აჭარაში – ციტრუსოვანი ხილი). წარსულში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ჩაის და ციტრუსოვანი ხილის მოყვანით იყო დაკავებული, ხოლო აღმოსავლეთში უფრო ღვინოსა და ხორბალს აწარმოებდნენ.

ცხრილი 1.4. უდიდესი რეგიონების წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში, 2012 წ.

პროდუქტი	%	რეგიონი	%	რეგიონი	%	რეგიონი
ხორბალი	66	კახეთი	18	ქვემო ქართლი	11	შიდა ქართლი
სიმინდი	28	სამეგრელო - ზემო სვანეთი	25	იმერეთი	17	კახეთი
კარტოფილი	63	სამცხე-ჯავახეთი	20	ქვემო ქართლი	5	აჭარა
ბოსტნეული	30	ქვემო ქართლი	28	შიდა ქართლი	16	კახეთი
ხილი	26	სამეგრელო-ზემო სვანეთი	24	შიდა ქართლი	14	იმერეთი
ვაშლი	56	შიდა ქართლი	10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	8	იმერეთი
ყურძენი	49	კახეთი	25	იმერეთი	9	შიდა ქართლი
ციტრუსი	67	აჭარა	23	გურია	9	სამეგრელო-ზემო სვანეთი
ჩაის ფოთოლი	42	აჭარა	31	სამეგრელო-ზემო სვანეთი	27	გურია
რქოსანი საქონელი	22	სამეგრელო-ზემო სვანეთი	17	იმერეთი	14	ქვემო ქართლი
ღორები	36	სამეგრელო-ზემო სვანეთი	19	იმერეთი	12	კახეთი
ფრინველი	28	ქვემო ქართლი	17	იმერეთი	17	სამეგრელო-ზემო სვანეთი

წყარო: საქსტატი

მონო-ინდუსტრიული ქალაქები

როგორც ყველგან, საქართველოშიც ბუნებრივი რესურსების მოპოვებამ და წარმოებამ ისტორიულად მონოინდუსტრიული ქალაქების ჩამოყალიბება გამოიწვია. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მანგანუმის მადნის (ჭიათურა), ნახშირის (ტყიბული, ტყვარჩელი, ვალე), პოლიმეტალის (კვაისი, კაზრეთი), ანდეზიტის (ბაკურიანი) მოპოვება და ჰიდროელექტროენერგიისა (ჯვარი, გუმათიჰესი, ზაჰესი) და თერმული ენერგიის (გარდაბანი) წარმოება. ასეთმა მონოინდუსტრიულმა ქალაქებმა საბჭოთა კავშირის მძლავრად ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემის მოშლის შედეგად გამოწვეული კრიზისი უფრო მწვავედ განიცადეს. მართალია, ზოგიერთმა ამ ქალაქმა კერძო ინვესტიციებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების წყალობით ეს კრიზისი ნაწილობრივ დაძლია, მაგრამ საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება არ შეინიშნება.

ქალაქმა ზესტაფონმა თავისი მოსახლეობის და ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის საკმაოდ დიდი ნაწილის შენარჩუნება მოახერხა. ეს, სავარაუდოდ, მისი სახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობით (იგი იმერეთის რეგიონის შუაგულში, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქის, ქუთაისის მახლობლად მდებარეობს) და ასევე, შედარებით ეფექტიანი მართვით არის

განპირობებული. ქალაქმა რუსთავმა, საქართველოს უდიდესმა მონოქალაქმა [10] თავისი ადგილობრივი ეკონომიკის გამოცოცხლება საკმაოდ წარმატებით მოახდინა. ქალაქ რუსთავის წარმატებას განაპირობებს ქალაქ თბილისთან სიახლოვე; შედარებით ძლიერი ადამიანური კაპიტალი; აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების საზღვრებთან მოსახერხებელი მდებარეობა და ბოლო წლებში განხორციელებული საკმაოდ წარმატებული ცდები, ახალი ბაზრების გახსნითა და ადმინისტრაციული მომსახურებით გაამრავალფეროვნოს თავისი ეკონომიკური საქმიანობა (მაგალითად, აქ განლაგებულია მეორადი ავტომანქანების დიდი ბაზრობა).

2.6 შრომის ბაზარი, განათლება და გადამზადება

შრომის ბაზარი - ზოგადი მიმოხილვა

1990 და 2000 წლებს შორის საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა 37%-ით (2 763 300-დან 1 732 700-მდე) შემცირდა[11]. შედეგად, ბევრმა დიდმა და მცირე ზომის ქალაქმა თავისი მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი დაკარგა. ეს ტენდენცია, მხოლოდ, ნაწილობრივ შეიცვალა 2005 წლის შემდეგ, როდესაც დაიწყო ინდუსტრიული საქმიანობის ნაწილობრივი გამოცოცხლება. საქართველოში შრომითი ბაზრის მდგომარეობა ბოლო წლებშიც აგრძელებს გაუარესებას, რაზეც დასაქმების დონის ვარდნა მიუთითებს.

დასაქმების დონის ასეთ ვარდნას თან ახლავს უფრო მეტად არააქტიურობის, ვიდრე უმუშევრობის გაზრდა. საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მქონე ადამიანების ორ მესამედზე ნაკლებია ეკონომიკურად აქტიური, რაც ევროკავშირის მაჩვენებელს (70%) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. სამუშაო ძალის ძალიან დაბალი მონაწილეობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ურბანულ რაიონებში, სადაც შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის, მხოლოდ, 58% არის ეკონომიკურად აქტიური.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლადაა კონცენტრირებული, სადაც მუშახელის უმეტესობა სოფლის მეურნეობის დარგშია დასაქმებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოთვლის არსებული მეთოდის ნაკლოვანებები არ იძლევა სოფლის მეურნეობაში მუშახელის ნაკლებობის სრულფასოვნად შეფასების საშუალებას. არსებული მონაცემებით, მთლიანი დასაქმების 40%-ზე ნაკლები ქალაქებზე მოდის, ხოლო სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმებულები დასაქმებულთა მთლიანი მაჩვენებლის 50%-ზე ნაკლებს შეადგენენ. მხოლოდ, 10%-ზე ნაკლები რჩება მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებული. არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მთავარი კომპონენტია მომსახურება, რომლის წილი მთლიან დასაქმებაში 35%-ზე მეტია (საქსტატის მონაცემებით, 2002-2013 წლებში 35.5%-დან (2008 წელი) 38.5%-მდე (2013) მერყეობდა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თვითდასაქმებულთა დონე მაღალია. განსაკუთრებით

[10] ფაქტობრივად, ქალაქ რუსთავის ერთფუნქციურ ქალაქად მოხსენიება გარკვეულწილად არაზუსტია. საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ქვემო ქართლში მრეწველობაზე მდღ-ის ორჯერ უფრო დიდი წილი მოდის, ვიდრე სოფლის მეურნეობაზე. რეგიონის ინდუსტრიულ ხერხემალს ოთხი ძირითადი საწარმო ქმნის. ესენია: რუსთავის ფოლადის ქარხანა, რუსთავის ქიმიური საწარმო, ჰაიდელბერგ ცემენტი და რუსთავისა და კაზრეთის ოქროს მაღარო.

[11] საქართველოს გეოგრაფია, 2003, 73.

სოფლად, სადაც 1990-იანი წლების მიწის რეფორმის დროს ყველა მცხოვრებს გადაეცა მცირე ზომის მიწის ნაკვეთები. სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების მფლობელი მოსახლეობა განიხილება, როგორც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები. ამ მახასიათებლის მნიშვნელობას ის ფაქტიც უჩვენებს, რომ 2012-2013 წლებში სახელმწიფო ვაუჩერის პროგრამით დაახლოებით 700 000-მა ოჯახმა ისარგებლა.

თვითდასაქმებულთა რაოდენობა ქალაქშიც მაღალია, მაგრამ არა ისეთი მაღალი, როგორც სოფლად. 2000 წლიდან მოყოლებული თვითდასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2004 წელს კი, პიკს მიაღწია და მთლიანი სამუშაო ძალის ორი მესამედი შეადგინა. 2004 წლიდან თვითდასაქმებულთა დონემ კლება დაიწყო, რაც ოფიციალურ სექტორში სამუშაო შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მიგვანიშნებს. თუმცა ქართველ დასაქმებულთა უმრავლესობა კვლავ თვითდასაქმებულად რჩება.

კერძო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი შედარებით დაბალი რჩება. გამოყენებული წყაროების მიხედვით, 2012 წელს დასაქმებულთა ნახევარზე ნაკლები კერძო კომპანიებში საქმიანობს. ეს მაჩვენებელი, დარგების მიხედვით, განსხვავდება და მრეწველობაში - 50%-ს, საბაზრო მომსახურებაში - 66%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობაში - 72%-ს შეადგენს. დაქირავებულთა 50%-მდე კი იმ კომპანიებშია დასაქმებული, სადაც სახელმწიფო კვლავ მთავარ მეწილედ რჩება. მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ კომპანიებში დასაქმება უმნიშვნელოა, სულ, მისი წილი 10%-ზე ნაკლებია.

შრომის ბაზარი - რეგიონული განსხვავებები

საქართველოს შრომის ბაზარზე მთავარი რეგიონული განსხვავება ქალაქ თბილისსა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს, თუმცა სხვადასხვა რეგიონებს შორისაც არის გარკვეული სხვაობები (მაგ., აჭარაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოხატული დეფიციტია, უმუშევრობის დონე ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ქვემო ქართლში). აღნიშნული რეგიონული სხვაობების აშკარა ახსნა სხვადასხვა რეგიონის ურბანულ და სოფლის მახასიათებლებში შეგვიძლია ვეძებოთ. ოფიციალური უმუშევრობა გაცილებით უფრო დაბალია სოფლის, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში. ეს სხვაობა დაახლოებით 20%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად დასაქმებულთა დიდი წილი თვითდასაქმებულ ფერმერებზე მოდის.

თუ რეგიონის ურბანიზაციის დონეს მის უმუშევრობის დონეს შევადარებთ, ერთადერთი მთავარი გამონაკლისის, იმერეთის გარდა, როგორც წესი, ურბანიზაციის დონე რეგიონის უმუშევრობის კარგი განმსაზღვრელია. რაც შეეხება იმერეთს, მიუხედავად იმისა, რომ აქ ურბანიზაციის დონე ქალაქ თბილისის შემდეგ ყველაზე მაღალია, უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. მისგან განსხვავებით აჭარას, სადაც ურბანიზაციის დონე თითქმის ისეთივე მაღალია, როგორც იმერეთში, უმუშევრობის გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს.

ამის შესაძლო ახსნა ამ ორი რეგიონის განსხვავებულ ეკონომიკურ სტრუქტურაში მდგომარეობს. აჭარის ეკონომიკის დიდ წილს ტურიზმი და მშენებლობა ქმნის, ხოლო იმერეთში საწარმოო მრეწველობაა დომინანტური. ტურიზმსა და მშენებლობაში დასაქმება ხშირად მოკლე ვადით ხდება, თუმცა ასეთი სამუშაო უფრო ადვილად მოსაპოვებელია

(მუშახელს ნაკლები კვალიფიკაცია მოეთხოვება), ვიდრე მუდმივი დასაქმება. ამან იმედგაცრუებული მუშახელის რიცხვი უნდა შეამციროს, რადგან სამსახურის, თუნდ დროებითის, შოვნის უფრო რეალური შანსი არსებობს. თუმცა ეს, ასევე, ზრდის უმუშევრობის დონეს, იზრდება რა სამუშაო ძალის რაოდენობა (რაც დასაქმებულების ან სამსახურის აქტიურად მაძიებლების რაოდენობით განისაზღვრება).

დროთა განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დასაქმების დონეებს შორის დიდი მსგავსებაც აღინიშნა. დასაქმების დონე 2008 წლის აგვისტოს ომის და გლობალური ფინანსური კრიზისის დასაწყისში დაეცა და მას შემდეგ, მხოლოდ, უმნიშვნელოდ გაიზარდა. ამ მდგომარეობიდან ერთადერთ გამონაკლისს აჭარა წარმოადგენს, სადაც მთელი კრიზისის განმავლობაში დასაქმების სტაბილური ზრდა დაფიქსირდა. ეს შეიძლება რეგიონში ტურიზმისა და მშენებლობის სექტორის განვითარებით აიხსნას, ასევე – 2008 წელს არსებული დასაქმების დაბალი დონით. მეორე მხრივ, ქალაქ თბილისში დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს სხვა ნებისმიერ რეგიონში. სხვა მხრივ, რეგიონებს შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

განათლება და გადამზადება

საქართველოს მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. ქალაქი თბილისი ქვეყნის ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემის უდავო ცენტრია. აქ 49 უმაღლესი (10 საჯარო და 39 კერძო) და 5 საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მდებარეობს, რაც მეტია ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში. ქალაქ თბილისში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობა ასევე მნიშვნელოვნად აღემატება სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთანავე, ქალაქ თბილისში ყოველ 1000 მოსწავლეზე მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები რაოდენობის სკოლაა, ვიდრე სხვაგან. უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თვალსაზრისით, ქალაქ თბილისის შემდეგ, მეორე, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იმერეთი იკავებს. მესამე ადგილზე აჭარაა. მხოლოდ, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში არ არის უნივერსიტეტები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა რეგიონი უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილით ქალაქ თბილისს ბევრად ჩამორჩება, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის რეგიონებში მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს აქვს უმაღლესი განათლება, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის ორ რეგიონში, მათ შორის, მთელ რიგ ურბანულ ცენტრებში და სამცხე-ჯავახეთის ყველა სოფლის ტიპის დასახლებებში განათლების დონე საშუალოზე დაბალია. როგორც ჩანს, ეს ამ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების მაღალი კონცენტრაციით აიხსნება. მოსახლეობის ეს ნაწილი კარგად არ არის ინტეგრირებული როგორც საგანმანათლებლო სისტემაში, ასევე, შრომის ბაზარზე. ეს, ასევე, დაკავშირებულია ამ რეგიონების ზოგიერთ პატარა და დიდ ქალაქებში მოსახლეობის თანდათანობით შემცირებასთან (მაგ.: წალკა და ნინოწმინდა). საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა მოცემულია დიაგრამაში 1.3.

დიაგრამა 1.3. საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა



უმაღლესი განათლების ალტერნატივაა პროფესიული განათლება. 1990-იან წლებში არსებული უდიდესი ეკონომიკური სირთულეების გამო, კერძო პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის ზრდის და მათში ჩარიცხვის გაიოლების, სახელმწიფო დაფინანსების მინიმუმამდე შემცირების პირობებში, პროფესიული სასწავლებლების დიდმა ნაწილმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ვერ შეძლო ფუნქციონირების გაგრძელება. ამავე დროს, სულ უფრო გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნა საშუალო პროფესიულ განათლებაზე, რაც, ხშირად, არ ემთხვეოდა ბაზრის მოთხოვნას და, ძირითადად, განპირობებული იყო პროფესიის პრესტიჟულობითა და ცენზით. საშუალო პროფესიული სასწავლებლების უმეტესმა ნაწილმა გარდამავალ პერიოდში შეიცვალა პროფილი. მათი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სამედიცინო პროფილის, იქცა უმაღლეს სასწავლებლებში გაიოლებული ჩარიცხვის, სწავლის პერიოდის შემცირების, უხარისხო უმაღლესი განათლების მიღების საშუალებად. ისეთ პრესტიჟულ სპეციალობებზე, როგორებიცაა სამედიცინო და იურიდიული, ჩარიცხვის ამგვარი ფაქტები კორუფციის, ცოდნის დაბალი ხარისხის და სხვა მრავალი პრობლემის მიზეზი გახდა. მსხვილ საწარმოთა უმოქმედობის, შესაბამისად, სამრეწველო პროფესიებზე მოთხოვნის შემცირების ფონზე, სახელმწიფომ შეწყვიტა შესაბამის პროფესიებში სწავლების დაფინანსება იმ მოტივით, რომ ამ პროფესიების დაუფლების მსურველს თავად უნდა გადაეხადა სწავლის საფასური. შესაბამისად, სახელმწიფო სასწავლებლებში გაიზარდა ფასიანი მომსახურების წილი და ამასთან, მოსახლეობის

უდიდესი ნაწილის გადახდისუუნარობის პირობებში, ეს პროცესი ვერ იქცა შრომის ბაზარზე სპეციალისტთა მომზადების მთავარ ფორმად.

პროფესიული განათლების სფეროს მოდერნიზაციის მიზნით, ბოლო ათწლეულში განხორციელებული რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ძლიერი მხარდაჭერის პიროებებში, მიღებული იქნა საქართველოს კანონები „პროფესიული განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“; ამოქმედდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებები; განათლების სისტემაში დაინერგა თვითშეფასების პრაქტიკა; დამტკიცდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; დამტკიცდა 300-მდე პროფესიული სტანდარტი; დაინერგა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები; ჩატარდა ტრენინგები მასწავლებელთა პროფესიული და საგნობრივი უნარების განვითარების მიზნით; შემუშავდა ახალი სახელმძღვანელოები, განხორციელდა სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტები. თუმცა, განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, პროფესიული განათლების სისტემამ ვერ უზრუნველყო კვალიფიციური მუშახელის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, ვერ უპასუხა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს, რადგან, სუსტი სოციალური თანამშრომლობის, არათანმიმდევრული პოლიტიკური მხარდაჭერისა და გამოყოფილი რესურსების სიმცირის გამო, თავადვე აღმოჩნდა არაერთი გამოწვევის წინაშე.

დღეს, ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ, 18 სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის შემცირების ხარჯზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კოლეჯების ხარისხის გასაუმჯობესებლად გარკვეული ინვესტიციები ჩადო ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ეს ზომები საკმარისი არაა იმ კრიტიკული ვითარების გამოსასწორებლად, რომელიც რეგიონებში არსებობს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით.

დიაგრამა 1.4. სახელმწიფო კოლეჯების სტუდენტთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2013 წ.



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2.7 ინვესტიციები, საინოვაციო და ტექნოლოგიური განვითარება

ინვესტიციები

მსოფლიო ბანკის „Doing Business“ ანგარიშის მიხედვით, ბოლო წლებში, საქართველომ ბიზნეს-გარემოს რადიკალური რეფორმები განახორციელა. ამ რეფორმების წარმატების შედეგად, ქვეყანამ ბიზნესის კეთების შესახებ 2006 წლის მოხსენებით 112-ე ადგილიდან 2014 წელს მერვე ადგილზე გადაინაცვლა. გარდა ამისა, 2005-2012 წლების პერიოდში, ქვეყანას მოწინავე რეფორმატორის სტატუსი მიენიჭა. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო პირდაპირ უცხოურ ინვესტირებას და ეკონომიკურ ზრდას, რამაც 2005 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში წლიურ 9%-ს გადააჭარბა.

თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომმა, რასაც გლობალური ეკონომიკური კრიზისიც დაერთო, პირდაპირი უცხოური ინვესტირების, ექსპორტის, ანაზღაურებისა და საბანკო სესხების მკვეთრი შემცირება გამოიწვია. 2008 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, ეკონომიკა 6.5%-ით შემცირდა, ხოლო 2009 წელს - 3.8%-ით. პირდაპირი უცხოური ინვესტირება დაეცა. თუ 2007 წელს იგი მშპ-ს 16.4%-ს შეადგენდა, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 6.1% იყო. ექსპორტი 2007 წელს მშპ-ს 31%-დან 2009 წელს 29.8%-მდე შემცირდა.

მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ფინასურმა დახმარებამ და შედარებით მცირე სახელმწიფო ვალმა მთავრობას ეფექტური ფისკალური პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. შედეგად, მიუხედავად საერთაშორისო გამოწვევებისა, ქვეყანამ ეკონომიკური ზრდა განაგრძო. რასაც ხელი 2010-2011 წლებში ექსპორტის ზრდამ და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეუწყო.

საქსტატის მონაცემებით, 2012 წლის მშპ-ს რეალურმა ზრდამ 6,2% შეადგინა, ხოლო 2013 წლის წინასწარი მონაცემებით, მშპ-ს რეალური ზრდა 3,2%-ს გაუტოლდა (2013 წლის პირველ კვარტალში - 2,4%, მეორე კვარტალში - 1,5%, მესამე კვარტალში - 1,4%, ხოლო მეოთხე კვარტალში - 7,1%). 2013 წლის წინასწარი მონაცემებით, აქტიური ზრდა დაფიქსირდა თითქმის ყველა საქმიანობაში, გარდა სამთომოპოვებითი მრეწველობის და მშენებლობის სექტორისა, ხოლო მნიშვნელოვანი ზრდა სოფლის მეურნეობასა (9,8%) და დამამუშავებელ მრეწველობაში (8,4%) დაფიქსირდა.

2013 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 914,4 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 6,0%-ით აღემატება 2012 წლის წინასწარ და 0,3%-ით ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებს. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი (22%), ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ენერგეტიკაზე მოდის (198 მლნ. აშშ დოლარი). შემდეგ მოდის: საფინანსო სექტორი - 19% (170 მლნ. აშშ დოლარი) და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 15% (138 მლნ. აშშ დოლარი).

გარკვეული რეგიონული განსხვავებები შეინიშნება საქართველოში ბიზნესის ფლობის თვალსაზრისით. მდღ-ს მიხედვით, ქვემო ქართლში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში ბიზნესის უმეტესობა უცხოელების მფლობელობაშია, ხოლო გურიასა და კახეთში ბიზნესების უმეტესობა ადგილობრივ მოქალაქეებს ეკუთვნის. სურათი მნიშვნელოვნად იცვლება დასაქმების მიხედვით. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლში მდღ-ს თითქმის

70% უცხოურ ბიზნესზე მოდის, მისი წილი მთლიან დასაქმებაში მხოლოდ 15%-მდეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში უცხოელების მფლობელობაში მყოფი ბიზნესები ისეთი საქმიანობით არიან დაკავებულები, სადაც ერთ დაქირავებულზე უფრო მაღალი მდღ მოდის.

რეგიონული განსხვავებები შეინიშნება შრომის ნაყოფიერების თვალსაზრისითაც, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს ერთ დაქირავებულზე ინვესტირებული კაპიტალის მოცულობით (თუმცა, თავის მხრივ, კაპიტალდაბანდების მოცულობაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს შრომის ნაყოფიერების კუთხით არსებულმა განსხვავებებმა). როგორც იკვეთება, სადაც კონკრეტული სექტორის პროდუქტიულობა უფრო მაღალია, როგორც წესი, ერთ დაქირავებულზე კაპიტალდაბანდების უფრო დიდი წილი მოდის. ასეთი სექტორებია: ქალაქ თბილისსა და ქვემო ქართლში – მრეწველობა; აჭარაში – მშენებლობა; აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში – სასტუმროები და რესტორნები; ქალაქ თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში – ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

ცხრილი 1.5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (აშშ დოლარი, მლნ), 2005-2014, I კვ

წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114	177.2	173.2	194
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199	233.7
2013	914.4	226.2	232.4	238.7	217.1
2014		259.8			

წყარო: საქსტატი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. *2013-14 წწ მონაცემები წინასწარია.

ტექნოლოგიები და ინოვაციები

საქართველოს პროდუქციის (და ექსპორტის) დიდი ნაწილი გადამუშავების გარეშე მიიღება და უფრო დაბალი დამატებითი ღირებულება აქვს, ვიდრე ევროკავშირის და სხვა მოწინავე ეკონომიკის პროდუქციას. ექსპორტის ხარისხის წინასწარმა ანალიზმა[12] აჩვენა, რომ რამდენიმე უდიდესმა საექსპორტო სექტორმა (მაგ.: ქიმიკატებმა და სატრანსპორტო აღჭურვილობამ) გაზარდა საბაზრო წილი და ასევე, ხარისხიც, ევროკავშირის ბაზარზე არსებულ კონკურენტებთან შედარებით. თუმცა, სხვა ექსპორტი ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა; მაგალითად, საკვები პროდუქტების სექტორმა, ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, საბაზრო წილი დაკარგა.

საქართველოს პროდუქციის როგორც ტექნოლოგიური დახვეწის, ასევე, მისი

[12] საქართველოს კონკურენტუნარიანი მრეწველობის ტექნიკური დახმარების პროექტის საინფორმაციო ფურცელი. მსოფლიო ბანკი - ივნისი, 2013 წელი.

„ინოვაციურობის“ [13] ხარისხის წინასწარმა შეფასებამ აჩვენა, რომ ქვეყანა საშუალო მაჩვენებელზე დაბლა ოპერირებს (შეფასებისას, ასევე, გამოიკვეთა, რომ საქართველოში ამ სფეროებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საქმიანობის გაუმჯობესებულ მაჩვენებელს შორის გარკვეული კავშირი არსებობს, გარდა ამისა, აქ პროცესის ინოვაციურობა უფრო თვალშისაცემია, ვიდრე პროდუქტის).

საქართველოში არც პროდუქციის ან პროცესის ტექნოლოგიის თვალსაზრისით და არც ნოვატორობის კუთხით, მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებები არ იკვეთება, გარდა იმ სხვაობებისა, რაც ეკონომიკური საქმიანობის უფრო ზოგად დონეებს ასახავს.

საქართველოს რეგიონებში სახეზეა ტექნოლოგიური განახლებისა და ინოვაციების განვითარების მხარდაჭერის სისტემური და ინსტიტუციური ვაკუუმი, ასევე, მოძველებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა, სუსტი საწარმოო სიმძლავრეები, შრომის დაბალი ნაყოფიერება, წარმოების სხვა ფაქტორების განვითარების არსებული დონე და საჯარო ინტერვენციისა თუ ხელშეწყობის უკიდურესი შეზღუდულობა. აღნიშნული დიდად აბრკოლებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესების განვითარებას რეგიონებში. ჩამოთვლილ გამოწვევებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს ისიც, რომ, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, ეროვნული საინოვაციო სისტემებისა და შესაბამისი პლატფორმების განვითარება ვერ იღებს სასურველ შედეგს და ვერ უწყობს სათანადოდ ხელს ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობისა თუ პროდუქტიულობის ამაღლებას, თუკი ეს პროცესი მოწყვეტილია შესატყვისი საინოვაციო სისტემების ქმედითი და სინერგიული დანერგვა-განვითარებისგან სუბნაციონალურ დონეებზე.

2.8 შემოსავალი და სიღარიბე

საქართველოში კონკრეტულ რეგიონებში მცხოვრებ ოჯახებს შორის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის სხვაობა დიდად აღემატება რეგიონებს შორის არსებულ სხვაობას. ამის მიუხედავად, ქალაქ თბილისში ერთ სულზე საშუალო შემოსავალი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე იგივე მაჩვენებელი ნებისმიერ სხვა რეგიონში – გარდა აჭარისა, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთისა (ურბანიზებულ რეგიონებში ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი შემოსავალი ფიქსირდება).

სიღარიბე მთელ საქართველოში მთავარ პრობლემად რჩება, მიუხედავად მისი შემცირების მიმართულებით მიღწეული პროგრესისა, განსაკუთრებით 2013 წლის შემდეგ[14]. სიღარიბე ზოგ რეგიონში განსაკუთრებით საყურადღებო პრობლემაა. იგი დიდადაა გამოწვეული უმუშევრობით, ასევე, ურბანულ და სასოფლო ტიპის დასახლებებში თვითდასაქმებულთა არასაკმარისი შემოსავლით. გლობალურმა კრიზისმა და რუსეთთან ომმა საქართველოში სიღარიბის მასშტაბები და სიმძიმე კიდევ უფრო გაზარდა. სოფლად ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელმა 2009 წელს 24.7% შეადგინა, ხოლო 2013 წელს იგი 27.1 %-მდე გაიზარდა.

[13] საქართველოს კონკურენტუნარიანი მრეწველობის სექტორის წინასწარი დიაგნოსტიკა, მსოფლიო ბანკი, ივნისი, 2013 წელი.

[14] ზოგიერთი კვლევა (მაგ.: სიღარიბის შეფასება საქართველოში, მსოფლიო ბანკი: 2009. სიღარიბის დინამიკა 2000-იან წლებში, მსოფლიო ბანკი 2011წ.) გაუმჯობესებას 2003 წელს ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის და სოციალურ რეფორმებს უკავშირებს.

საქართველოში სიღარიბის მასშტაბები უფრო დიდია სოფლის, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში და ეს სხვაობა 2000-იან წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. ეკონომიკის სწრაფი ზრდის პერიოდში, ურბანულ რაიონებში სიღარიბე 2003 წელს არსებული 23.7%-დან 2007 წელს 18%-მდე შემცირდა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში იმავე პერიოდში იგივე მაჩვენებელი 33%-დან, მხოლოდ, 29.4%-მდე ჩამოვიდა. დღესდღეობით, ქვეყანაში ღარიბთა დაახლოებით 2/3 სასოფლო დასახლებებში ცხოვრობს.

საქართველოს მთავრობა სოციალური უზრუნველყოფის რამდენიმე პროგრამას ახორციელებს. მათ შორის, აღსანიშნავია საარსებო შემწეობა, რომელიც სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებს უწევს დახმარებას. ოჯახები, რომლებიც ამ შემწეობას იღებენ, სოციალურად უკიდურესად დაუცველნი არიან; ასეთი ოჯახების წილი მთელ მოსახლეობაში საზოგადოების ეკონომიკური მოწყვლადობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.



დიაგრამა 1.5. მედიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი

წყარო: შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევა 2011. ISET 2013.

ამ მაჩვენებლის გამოყენებით, საქართველოში, რეგიონების მიხედვით, სოციალურად დაუცველთა მდგომარეობაში აშკარა განსხვავებები შეინიშნება. ქალაქ თბილისსა და სამცხე-ჯავახეთზე სოციალურად დაუცველი ოჯახების ყველაზე ნაკლები წილი მოდის, ხოლო შიდა ქართლზე – ყველაზე დიდი. ქალაქ თბილისში საარსებო შემწეობას პროცენტულად ყველაზე ნაკლები ოჯახი იღებს, შემდეგ მოდის სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და აჭარა. რეგისტრირებულ ღარიბთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ძირითადად, მთიან და ეკონომიკურად სუსტ მცხეთა-მთიანეთზე მოდის, ასევე, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე (იხ. დიაგრამა 1.5).

ქალაქ თბილისსა და აჭარაში საარსებო შემწეობის შედარებით ნაკლები ბენეფიციარის არსებობა ეკონომიკური განვითარების და დასაქმების დონის ზრდის ტენდენციას შეესაბამება, თუმცა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ასევე, დაბალ მაჩვენებელზე იმავეს ვერ ვიტყვით.

ბოლო წლებში შიდა ქართლში რეგისტრირებული ბენეფიციარების მკვეთრი ზრდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადის შემოსვლის შედეგია. მეორე მხრივ, ქალაქ თბილისსა და იმერეთში იმავე ტენდენციის მიზეზი ისაა, რომ უფრო მეტი ოჯახი განიცდის ეკონომიკური კრიზისის შედეგებს. რაც შეეხება მთაში შემწეობის მიმღებთა რაოდენობის შედარებით კლებას, ეს იქაური მოსახლეობის რიცხვის შემცირებითაა გამოწვეული.



დიაგრამა 1.6. საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის და სოციალურად დაუცველი ოჯახების წილი, 2014 წლის აპრილის მდგომარეობით

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

2.9 კულტურული და რეკრეაციული რესურსები

კულტურული და რეკრეაციული რესურსები არა მხოლოდ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე მეტყველებს, არამედ, რაც ამ პროგრამისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ისინი წარმოადგენენ დასაქმების პოტენციალის და ეკონომიკური პროდუქტიულობის გაზრდის შესაძლებლობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურისტებისთვის განკუთვნილი მომსახურებით.

საქართველოს მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსები უჩვეულო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ 12 000-ზე მეტი ისტორიული და კულტურული ძეგლია, რომელთაგან ოთხი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. ქვეყანას კარგად განვითარებული მთის, ზღვის და სპა კურორტები აქვს. გარდა ამისა, საქართველოში 87 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიაა, რომელთაგან 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 41 ბუნების ძეგლი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი და 2 დაცული ლანდშაფტია. საქართველო ტურისტებს გამორჩეულ სამზარეულოსა და ღვინოებს, ცოცხალ მუსიკასა და ტრადიციულ ცეკვებს სთავაზობს. ყველაფერი ეს მზარდ საერთაშორისო ინტერესს იზიდავს.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე, საქართველოში ტურისტების რიცხვმა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით უფრო სწრაფად იმატა. 2008 წელს მსოფლიო ფინანსური კრიზისის დასაწყისში, როდესაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტურისტთა რიცხვი 4%-ით შემცირდა, საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 16%-ით გაიზარდა. 2011 წელს საქართველოში ახალი ტურისტული დანიშნულების ქვეყნებს შორის ვიზიტორების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო და 39%-ს შეადგენდა. 2012 წელს უცხოელი სტუმრების რაოდენობამ თითქმის 4.5 მილიონს მიაღწია, რაც 2011 წელთან შედარებით 56%-ით მეტია, ხოლო 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 5,4 მილიონს გაუტოლდა, რაც 21%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. (იხ. ცხრილი ქვემოთ და დიაგრამა 1.7).

	2009	2010	2011	2012	2013
ვიზიტორები	1 500 049	2 031 717	2 820 185	4 428 221	5 365 356
ზრდა (%)	16	35	39	56	21

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საქართველოში სულ 1000 განთავსების ერთეულია, რომელიც თითქმის 35 000 საწოლს აერთიანებს. შედეგად, სასტუმროს ნომერზე საშუალო მოთხოვნა არსებულ მიწოდებას აჭარბებს. აჭარის ზღვისპირა რეგიონი (განსაკუთრებით ქალაქი ბათუმი) და ქალაქი თბილისი ბაზარზე დომინირებს და ორივეგან საერთაშორისო ბრენდის მაღალი სტანდარტის მქონე სასტუმროებია განლაგებული.

სხვადასხვა რეგიონში ტურისტულ საქმიანობაში დიდი განსხვავებები არსებობს. აჭარაში მთავარი აქცენტი საზღვაო ტურიზმზეა გაკეთებული. ურბანული ტურიზმის და საქმიანი მოგზაურობების ყველაზე დიდი წილი ქალაქ თბილისს უკავია, ხოლო ზამთრის და სამკურნალო ტურიზმი – სამცხე-ჯავახეთში განლაგებულ ბაკურიანსა და ბორჯომს. თუმცა, ზოგადად, მონაცემთა სიმცირე საქართველოს რომელიმე რეგიონის ტურისტული პოტენციალის საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.

საქართველოში კულტურული ან რეკრეაციული რესურსების მიწოდებასა და გამოყენების შესახებაც მცირე მონაცემები არსებობს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კულტურული რესურსები, ძირითადად, თავმოყრილია და აქტიურად გამოიყენება ქალაქ თბილისში.



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

თავი III. საქართველოს რეგიონების განვითარების ძირითადი საჭიროებები

ჩვენი მთავარი მიზანია, ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ინკლუზიური ანუ საყოველთაო ეკონომიკური ზრდის საფუძველზე.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დიდწილადაა დამოკიდებული არა მარტო საერთო ეროვნული, არამედ რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ძლიერ და კონკურენტუნარიან რეგიონებზე. რეგიონული განვითარება განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად.

საქართველო 2020

3.1 შესავალი

პროგრამის პირველ თავში მოცემული ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში რეგიონებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქვეყნის ადმინისტრაციულ რეგიონებს შორის კავშირი ნაკლებია.

მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს ქალაქ თბილისსა (მის შემოგარენს) და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის. ასევე, აშკარა განსხვავებებია იმ პირობებში, რომლებიც გვხვდება ქალაქად, ერთი მხრივ, და სოფლად, მეორე მხრივ. ამავდროულად, მაღალმთიანი რეგიონების პირობები სრულიად განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილებში არსებული პირობებისგან.

რეგიონული განვითარების საჭიროებებისა და შესაბამისი პრიორიტეტების გამოვლენისთვის და მათ გადასაჭრელად, საჭირო ღონისძიებების ჯეროვანი განსაზღვრისთვის, მხედველობაშია მისაღები რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ:

რეგიონებს შორის განსხვავებები არ არის სოციალ-ეკონომიკური უთანასწორობების იდენტური, რაც ამართლებს საჯარო ინტერვენციას. ასეთი უთანასწორობებისა და მათთან დაკავშირებული განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა მოითხოვს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორებიცაა: საქართველოს საერთო განვითარების პრიორიტეტები, შესაბამისი დარგობრივი პრიორიტეტები და, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ხელშეკრულებები ის ფაქტი, რომ ზოგი რეგიონი მეტწილად სოფლებს მოიცავს, ზოგი კი უფრო ურბანული ტიპისაა, არ წარმოადგენს თავისთავად პრობლემას, თუმცა თითოეული ტიპის რეგიონს, შესაბამისად, გააჩნია განვითარების განსხვავებული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება მოითხოვს გარკვეული ბალანსის დაცვას.

საქართველოს რეგიონების შესახებ არსებულ მონაცემებში გარკვეული სისუსტეები და უკმარისობები აშკარად ჩანს, მაგრამ „საქსტატის“ და შესაბამისი უწყებათაშორისი დროებითი სამუშაო ჯგუფის უწყვეტი მუშაობა მათ აღმოფხვრას ემსახურება. ასეთი სისუსტეების არსებობა არ აფერხებს რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებას, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ პროგრამა საწყის ეტაპზე მაინც კონცენტრირებული უნდა იყოს – პირდაპირ და უფრო მეტად – მყისიერ შედეგებზე, რათა პროგრამის მონიტორინგის პროცესში შესაძლებელი იყოს დასაბუთებულად საიმედო ინფორმაციის მიღება პროგრამის განხორციელების

მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში რეგიონულ სოციალურ-ეკონომიკურ უთანაბრობას არ აქვს მარტივი და პირდაპირი კავშირი რეგიონულ ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან (ისე, როგორც ეს სხვა ქვეყნების უმრავლესობის შემთხვევაშია). შესაბამისად, ფრთხილი ზომები უნდა იქნეს მიღებული ჩარევის ყველაზე ეფექტიანი დონისა და შესაფერისი განხორციელების ღონისძიებების შესარჩევად. ასევე, ყურადსაღებია ნებისმიერი რეფორმა, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და პასუხისმგებლობებს უკავშირდება.

ეს თავი ეფუძნება წინმსწრებ აღწერილობით ნაწილს და განსაზღვრავს შეზღუდული რაოდენობის ძირითადი განვითარების საჭიროებებს, რომლებზეც რეგიონული განვითარების პროგრამა იქნება კონცენტრირებული. პროგრამა მოწოდებულია, დაიცვას ბალანსი არსებულ რესურსებსა და მიზნებს შორის, რათა, ერთი მხრივ, მივიღოთ მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, აქცენტი გაკეთდეს შეზღუდული რაოდენობის საკვანძო საკითხებზე, რომლებიც პირველი პროგრამული დავალების ეფექტიანად მართვის საშუალებას უზრუნველყოფს.

რეგიონული განვითარების პროგრამა მოწოდებულია დაიცვას კონცენტრაციის პრინციპი (საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპი, რომელიც გულისხმობს რესურსების და ძალისხმევის ძირითად საჭიროებებზე კონცენტრირებას). ამ პროგრამის პრინციპია გამოვლინდეს ისეთი საჭიროებები, რომლებიც უკავშირდება და ხელს უწყობს ქვეყნის დაბალანსებულ და მდგრად განვითარებას. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი საჭიროებები, რომელსაც რამდენადმე გააჩნია რეგიონული/ადგილობრივი განზომილება. საქართველოს ზოგიერთი ეროვნული დონის პრიორიტეტი, როგორიც არის, მაგალითად, გაუმჯობესებული სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა, უაღრესად კრიტიკული მნიშვნელობისაა, მაგრამ შესაბამისი სიკეთე თანაბრად უნდა მიეწოდებოდეს მთლიანად საქართველოს მოსახლეობას. ამგვარად, თუ რომელიმე საჭიროება მნიშვნელოვანია მთლიანად საქართველოს მასშტაბით, მისი გადაჭრა ოპტიმალურია საერთო ეროვნული/დარგობრივი პოლიტიკის ინსტრუმენტებით და არა ამ პროგრამის ფარგლებში. ქვემოთ მითითებული საჭიროებები განხილულია რეგიონულ ჭრილში და ყველა მათგანი, საბოლოო ჯამში, უკავშირდება როგორც კოჰეზიის (გათანაბრების), ასევე კონკურენტუნარიანობის ზრდის საჭიროებებს.

3.2 SWOT ანალიზის ცხრილი

ქვემოთ წარმოდგენილ SWOT ანალიზის ცხრილში შეჯამებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა, რეგიონული განვითარების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ SWOT ანალიზის ცხრილი არ შეიცავს საკითხების უშუალო გადაწყვეტის გზებს, ის არსებული მდგომარეობის აღწერისა და ანალიზის მოკლე შეჯამების სასარგებლო ინსტრუმენტია.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ქალაქი თბილისი ეკონომიკური საქმიანობის აქტიური და დინამიური ცენტრია; • რეგიონებში და განსაკუთრებით, ქალაქ თბილისში, უკვე განვითარებულია ფიზიკური ინფრასტრუქტურული ქსელის (ტრანსპორტი, წყალი, ელექტროენერგია და სხვ.) მნიშვნელოვანი ნაწილი; • მთლიანობაში, პოზიტიური ბიზნეს გარემო; • საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია ინდივიდუალური რეგიონების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიები; • მიღებულია პროფესიული განათლებისა და სწავლების (VET) სტრატეგია, რომელიც რეგიონული დაფარვის ვალდებულებას მოიცავს; • შეზღუდული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს აქვს საიმედო და მზარდი ბაზარი; • არსებობს ტურისტული მრეწველობის კიდევ უფრო მეტად განვითარების მძლავრი პოტენციალი, როგორც ქალაქად, ისე - სოფლად.	• ქალაქ თბილისში არა მარტო საქართველოს ფინანსური რესურსებია თავმოყრილი, არამედ, იგი ყველაზე მსხვილი მხარჯავი სუბიექტია ქვეყანაში; • ფიზიკური ინფრასტრუქტურული ქსელების უდიდესი ნაწილი ჯერაც საჭიროებს დასრულებასა და განვითარებას, განსაკუთრებით – ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე; • საჭიროა პროფესიული განათლებისა და სწავლების შესაძლებლობების მეტად განვითარება და სტანდარტების დანერგვა – განაპირა ტერიტორიები კვლავ არახელსაყრელ პირობებშია; • ფინანსური რესურსები ინვესტირებისათვის (განსაკუთრებით სოფლად/განაპირა ადგილებში) არასაკმარისია; • სოფლის მეურნეობასა და სოფელზე დამყარებული ეკონომიკური აქტივობები არასაკმარისად პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს; • მიწის საკუთრება ფრაგმენტულია და იშვიათ შემთხვევებშია რეგისტრირებული; • განაპირა მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები დღესდღეობით ვერ უზრუნველყოფენ იქაური მოსახლეობის მხარდაჭერას; • უმუშევრობა (განსაკუთრებით, სოფლად) და არასრული დასაქმება კვლავ კრიტიკულ პრობლემად რჩება; • კვლავაც მწვავედ პრობლემურია რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების ინსტიტუციური და რესურსული შესაძლებლობების შეზღუდულობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ვაჭრობისა და ინვესტიციების შესაძლებლობების გაზრდას უზრუნველყოფს; • რეგიონების განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავება მიმდინარე წლის ბოლომდე; • რეგიონული განვითარების 2015-2017 წწ. პროგრამის მიღება კარგი შესაძლებლობა იქნება ქვეყნის დაბალანსებული განვითარებისთვის, კოორდინირებული და მრავალსექტორული მიდგომით.	• საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი ჯერ კიდევ არ არის დაძლეული; • გეოპოლიტიკური არასტაბილურობა; • საქართველოს ბიუჯეტზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მაკროეკონომიკური შეზღუდვები; • ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ეფექტიანი განხორციელება და სუბნაციონალური ინსტიტუციური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ამაღლება კვლავ აქტუალურია.

3.3 ძირითადი საჭიროებები

ზემოთ მოცემულ SWOT ანალიზის ცხრილზე დაყრდნობით, საქართველოში რეგიონული განვითარების შემდეგი საჭიროებების განსაზღვრაა შესაძლებელი:

საჭიროება 1: ფიზიკური ინფრასტრუქტურის სათანადო ქსელის შექმნა ეკონომიკური და სოციალური აქტივობების მხარდასაჭერად

ყველა სახის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და უწყვეტი გაუმჯობესება კვლავ უაღრესად აქტუალურია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი, სოფლად. ინფრასტრუქტურის უწყვეტი განვითარება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ბიზნეს-სექტორში ინვესტიციების გაზრდისათვის. მათ შორის, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, რომელსაც სპეციფიკური მოთხოვნები გააჩნია ტელეკომუნიკაციების, ელექტროენერგიის, წყლის მიწოდების მდგრადობის და ხარისხის მიმართ. ამასთან, ნებისმიერი ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა პასუხობდეს ადგილობრივად არსებულ კონკრეტულ საჭიროებებს და აქ ძალზე მნიშვნელოვანი ხდება სათანადო ბალანსის დაცვის უზრუნველყოფა.

1.ა. ტრანსპორტი

სტრატეგია „საქართველო 2020“ ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის განვითარებას მნიშვნელოვან საჭიროებად სახავს და განსაზღვრავს შესაბამის ეროვნულ პრიორიტეტებს. ამ დოკუმენტის თანახმად, სატრანსპორტო სისტემის განვითარება და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდა ქვეყნის ძირითად პრიორიტეტებს შორისაა.

რეგიონულ დონეზე ნათლადაა გამოხატული უფრო მცირე მასშტაბიანი დამაკავშირებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება. ეს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც, ამჟამად, განვითარებადი სატრანსპორტო ქსელიდან მოშორებულია, შესაძლებლობას მისცემს მიიღოს სრული წვდომა გზებზე. ასევე, პოტენციურ ინვესტორებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ იმ გზებით, რომლებიც არაა დამოკიდებული მთავარ, შეზღუდული გამტარობის მქონე, სატრანსპორტო ქსელზე.

1.ბ. წყალმომარაგება

> საქართველოს მთავრობის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობისთვის მაღალ ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტ, 24-საათიან რეჟიმში მიწოდება, საქართველოს ყველა ურბანულ ცენტრსა და ქალაქში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მოწესრიგება და სრულყოფილი ფუნქციონირება, მისი შემდგომი გაუმჯობესება და სისტემის ოპერირების მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოება.
>
> საქართველო 2020

როგორც პროგრამის მეორე თავშია აღნიშნული, საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნახევარზე მეტი და ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის 10% ჯერ კიდევ არაა

მიერთებული მაგისტრალურ წყალმომარაგების სისტემაზე. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებული გამოწვევა საკმაოდ სერიოზულია. ასევე, არსებობს კონკრეტული საჭიროებები სარწყავ სისტემებთან და სასოფლო-სამეურნეო სარწყავ არხებთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ, საჭიროება 3.ბ). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის ხარისხის საკითხიც. ჯერ კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი იმისთვის, რომ წყალი სასმელად იყოს ვარგისი და აკმაყოფილებდეს სასმელი წყლის ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

1.გ. ნარჩენებისა და წყალარინების დამუშავება და ჰაერის დაბინძურება

მყარი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების განვითარება და ევროკავშირის გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტების შესაბამისი და ახალი სანიტარული ნაგავსაყრელების და გადამტვირთი სადგურების მშენებლობა თანაბრად მნიშვნელოვანია.

საქართველო 2020

როგორც აღწერილი იყო მეორე თავში, საქართველოში, ამჟამად, მყარი ნარჩენების შეგროვება და მართვა, ძირითადად, ქალაქ თბილისსა და მის შემოგარენში ხორციელდება. რაც შეეხება სხვა სახის ნარჩენებს, ჰაერის მთლიანი დაბინძურების წყაროების ორი მესამედი კონცენტრირებულია, მხოლოდ, სამ ქალაქში. ესენია: ფეროშენადნობთა ქარხანა - ზესტაფონში; გარდაბნის ელექტროსადგური; აზოტისა და მეტალურგიული ქარხნები - რუსთავში და ცემენტის ქარხანა - კასპში. მობილური/სატრანსპორტო საშუალებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების დონე განსაკუთრებით მაღალია ქალაქ თბილისში. წყალარინების სისტემები და მათი მართვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2000 წლიდან, მაგრამ ამ მიმართულებით სამუშაოების ჩატარება აუცილებელია საქართველოს სოფლის ტიპის დასახლებებში.

1.დ. ელექტროენერგიის მიწოდება და უსაფრთხოება (ელექტროენერგია და გაზი)

საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ელექტროენეგია ხელმისაწვდომია. თუმცა, დიდად მნიშვნელოვანი და საჭიროა მიწოდებული ენერგიის ხარისხის გაუმჯობესება (განსაკუთრებით სოფლად) კომერციული საჭიროებების დონის შესაბამისად.

1.ე. ტელეკომუნიკაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სწრაფად განვითარდა ინტერნეტი და გაიზარდა მისი გამოყენება, მაგრამ მისი ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და დაფარვის არეალის გაფართოება ქვეყნის განაპირა ტერიტორიებზე ძალზე მნიშვნელოვანია.

<u>საჭიროება 2:</u> ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა და ამით მათი კონკურენტუნარიანობისა და ასევე, დასაქმების შესაძლებლობის ზრდის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში

პროგრამის მეორე თავში ცხადად გამოჩნდა, რომ საჭიროა ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა და მოსახლეობის დასაქმება მთლიანად საქართველოში. მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს ადამიანური რესურსების გადამზადებაზე და ბიზნესის მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესებულ მიწოდებაზე. თუმცა ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე პირობებისა და აქტივობების სახესხვაობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება, ესა

თუ ის მხარდაჭერა მორგებული იყოს სხვადასხვა ტერიტორიის კონკრეტულ მოთხოვნებს. კერძოდ, საქართველოს, მისი რეგიონების განვითარებისთვის აუცილებელია:

- უფრო კვალიფიციური მუშახელი;
- სრულგანაკვეთიანი დასაქმება (განსაკუთრებით სოფლად, სადაც სოფლის მეურნეობაში სეზონური დასაქმება მნიშვნელოვანი პრობლემაა);
- გრძელვადიანი დასაქმება (განსაკუთრებით ურბანულ ნაწილში, სადაც „შემთხვევითი/თვითდასაქმებულთა“ შრომის ბაზარია);
- ფინანსურ რესურსებზე უკეთესი წვდომა (განსაკუთრებით სოფლად) ინვესტირების განხორციელების ხელშეწყობისთვის.

2.ა. პროფესიული განათლებისა და გადამზადების, შრომითი ბაზრის მომსახურების დაბალანსებული მიწოდება რეგიონებში

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა და განსაკუთრებით, პროფესიული განათლების სფერო საჭიროებს რეფორმების გატარებას და მნიშვნელოვან განვითარებას. ამ ეტაპზე მიზანშეწონილია, რეგიონული განვითარების პროგრამაში აქცენტი პროფესიულ სწავლებასა და გადამზადებაზე შეჩერდეს და განსაკუთრებული ძალისხმევაც სწორედ ამ მიმართულებით წარიმართოს. ასევე, უნდა გაუმჯობესდეს შრომის ბაზარის შესახებ ინფორმაცია, მისი მოპოვების პროცესი, დამუშავება და ანალიზი.

2.ბ. ბიზნეს მომსახურებების დაბალანსებული გადანაწილება რეგიონებში

ფინანსური სექტორი საქართველოში შედარებით განუვითარებელია და ფინანსებზე წვდომა განსაკუთრებით პრობლემატურია მცირე და საშუალო მეწარმეების, დამწყები ბიზნესებისა და სოფლად არსებული საწარმოებისთვის. ბიზნესის მხარდაჭერის მომსახურებები და სათანადო, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საწარმოო შენობა-ნაგებობების ხელმისაწვდომობა, ამჟამად, რეგიონების მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

<u>საჭიროება 3:</u> საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის

საქართველოს ურბანული მოსახლეობის უმრავლესობა თავმოყრილია და ცხოვრობს ქალაქ თბილისში. ეს იმას ნიშნავს, რომ მის გარეთ სასოფლო-სამეურნეო აქტივობები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ზოგადად, რეგიონული განვითარებისთვის.

3.ა. სოფლის მეურნეობის ეროვნული პოლიტიკა, ინსტიტუციონალური და მარეგულირებელი სისტემები ფარავს საქართველოს ყველა რეგიონს

ბოლოდროინდელმა ანალიზმა [15] გამოავლინა სამხრეთ კავკასიაში ეროვნული პოლიტიკისა და ინსტიტუციური და მარეგულირებელი სისტემების (და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების) გაუმჯობესების საჭიროება. მათ შორის, უმნიშვნელოვანესთაგანია:

- საკუთრების უფლების უფრო სრულფასოვანი დაცვა, მათ შორის, მიწის საკუთრების რეგისტრაცია – რაც შესაძლებელს გახდიდა მიწის ბაზრის განვითარებას;

[15] სოფლის მეურნეობის შეფასება და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველო EC/FAO 2012.

• ტყეების დაცვა და რაციონალური გამოყენება.

ამ საჭიროებებზე რეაგირებისას, ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონული ბალანსის დაცვა.

3.ბ. საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის განვითარება

> სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების განვითარებას.
>
> საქართველო 2020

საქართველოში არსებული სარწყავი არხების და ქსელების უმეტესობა რეაბილიტაციას და მოვლა-პატრონობას საჭიროებს. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფერმერული მეურნეობების/შიდა ქსელების დონეზე საირიგაციო სისტემის გამართული მუშაობა კერძო მესაკუთრის პასუხისმგებლობაა; თუმცა, პირველადი მნიშვნელობის სარწყავი და სადრენაჟო სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს.

3.გ. ეკონომიკური აქტივობის დივერსიფიკაცია სოფლად

წინა თავებში გაკეთებული ანალიზი ცხადყოფს, რომ სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო (მაგალითად, ტურიზმის) ეკონომიკური აქტივობების სათანადო დივერსიფიცირება.

3.დ. ფინანსური მხარდაჭერის გაუმჯობესება სოფლად არსებული საწარმოებისთვის

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. გაურკვევლობა მიწის საკუთრებასა და საკუთრების ვადებზე, სავარგულების ფრაგმენტაცია, არატრადიციული დარგებით დივერსიფიკაციის საჭიროება, ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა – ეს ყველაფერი ერთად ართულებს ინვესტიციების მოზიდვას ამ დარგში. ფერმერებს სჭირდებათ აგროსესხებზე, სალიზინგო პროდუქტებსა და დაზღვევაზე წვდომის გამარტივება და შემდგომი გაუმჯობესება. არახელსაყრელი კლიმატური პირობების და სტიქიების შედეგად, მიღებული ზარალისგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა დასაცავად, მნიშვნელოვანია ამ სექტორში დაზღვევის სისტემების განვითარებისათვის ხელშეწყობა.

<u>საჭიროება 4:</u> რესურსების დაბალანსებული გადანაწილება ქალაქ თბილისსა და საქართველოს დანარჩენ რეგიონებს შორის

აღნიშნული ეხება იმ გარემოებას, რომ საქართველოს დანარჩენ ნაწილთან შედარებით, ქალაქ თბილისს, გარდა ძლიერი მხარეებისა, აქვს სუსტი მხარეებიც, როგორებიცაა გადატვირთული საგზაო მოძრაობა, დაბინძურება და სხვა.

რაც შეეხება ფინანსური რესურსების დაბალანსებულ გადანაწილებას საკუთრივ

რეგიონებს შორის, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი დაფინანსება ჯერ კიდევ არათანაბარი და ნაკლებეფექტიანია. არათანაბარია საბიუჯეტო შემოსულობები და ხარჯები რეგიონების მიხედვით, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებითაც, რაც ქმნის ჰორიზონტალურ დაუბალანსებლობას. პრობლემურია ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლებში საკუთარი შემოსავლების ხვედრითი წილი ჯერაც ძალზე დაბალია, რაც ამცირებს, როგორც მათი საბიუჯეტო დამოუკიდებლობის ხარისხს, ასევე, მიწოდებული საზოგადოებრივი მომსახურებების ხარისხს. თავის მხრივ, გამოთანაბრების ახალმა სისტემამ ვერ შესძლო 2008 წლიდან საშემოსავლო გადასახადის ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართვის შედეგად შემცირებული შემოსავლების ეფექტიანად კომპენსირება.

საჭიროება 5: მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის ძირითადი საარსებო საშუალებების შეთავაზება

მაღალმთიანი ტერიტორიები (სვანეთი, ზემო რაჭა, ხევი, ხევსურეთი და ა.შ.) საჭიროებენ სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას, რომელიც ადგილობრივი ტრადიციული ბიზნესების განვითარების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის გზით, მიმართული იქნება ტერიტორიების დეპოპულაციის პროცესების შეჩერებისკენ.

სხვა საჭიროებები

გარდა აღნიშნული ძირითადი საჭიროებებისა, ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ რეგიონული განვითარების ქმედითი ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაძლებლობების ამაღლება. მათ შორის: ადგილებზე ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერის; ადგილობრივი სოციალ-ეკონომიკური განვითარების უფრო ეფექტიანი დაგეგმვის; ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-მართვის და ადგილებზე საინოვაციო და ტექნოლოგიური ტრანსფერის სისტემების დანერგვის მხარდაჭერის კუთხით. რეგიონებში არსებული გამოწვევების დაძლევას ხელს არ უწყობს ის გარემოება, რომ დღეისთვის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს გააჩნიათ მეტად შეზღუდული შესაძლებლობები და როლი ინვესტიციების ადგილებზე მოსაზიდად. ისინი ნაკლებად ფლობენ როგორც აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამის რესურსებსა და შესაძლებლობებს, ასევე, ე.წ. „აუტსორსინგის“ ქმედით მექანიზმებს (მაგ., სამხარეო განვითარების სააგენტოები თუ სხვა ალტერნატიული ორგანიზაციები).

რეგიონებში შემუშავებული საინვესტიციო და საინოვაციო პროექტების, სათანადო სტანდარტის სამხარეო პასპორტების, რეგიონული ბრენდინგისა და პოპულარიზაციის კომპანიის ნაკლებობას ემატება ის ფაქტორიც, რომ დღემდე პრობლემად რჩება შესაბამის ცენტრალურ თუ ადგილობრივ უწყებებთან ეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმების არარსებობა. გამოუყენებელი რჩება ადგილობრივი სამიმწოდებლო ბაზის გარე ინვესტიციებთან დაკავშირების ხელშეწყობის ადგილობრივი შესაძლებლობებიც.

დასასრულს, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული რეგიონების ჭრილში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული სანდო,

ოფიციალური სტატისტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (გამონაკლისია სპეციალური ეკონომიკური ზონები). შეიძლება ითქვას, რომ რეგიონების ჭრილში ამგვარი სტატისტიკა არ იწარმოება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს როგორც ცენტრალური უწყებებისთვის, ასევე, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის შესაბამისი დაგეგმარების პროცესში.

თავი IV. ინსტიტუციური და პოლიტიკის კონტექსტი

პროგრამის ამ თავში აღწერილია ფართო ინსტიტუციური და პოლიტიკის კონტექსტი, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობას უკავშირდება. მთელი რიგი შესაბამისი აქტივობების, განსაკუთრებით კი, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო სააგენტოების რაოდენობის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემული ინფორმაცია შერჩევითი ხასიათისაა. შესაბამისი ინფორმაცია ეხება ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლია რეგიონულ განვითარებაზე და რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია პროგრამის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობისთვის.

4.1 ინსტიტუციური და პოლიტიკის კონტექსტი საქართველოში

ადმინისტრაციული მოწყობა და ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურები

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. დღეისათვის, საქართველოში არსებობს 12 თვითმმართველი ქალაქი (მუნიციპალიტეტი) და 59 თვითმმართველი თემი (მუნიციპალიტეტი). საქართველოს შემადგენლობაშია ორი ავტონომიური რესპუბლიკა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. აგრეთვე, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილია დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეული.

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ოკუპირებულ იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ. დღეს, ამ ტერიტორიების სტატუსი განისაზღვრება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს ტერიტორია მოიცავს 9 ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს (მხარეს), რომლის ფარგლებში მოქცეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში დანიშნულია სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი და დედაქალაქ თბილისს. საქართველოს ქალაქებიდან, მხოლოდ, ოთხის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი) მცხოვრებთა რაოდენობა აღემატება 100 000-ს.

2010 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიაში რეგიონის ცნება განსაზღვრულია შემდეგნაირად: რეგიონი - „ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას განიმარტება როგორც ფუნქციურ-დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების ერთობლიობას და, როგორც წესი, ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების სამოქმედო ტერიტორიას. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონად აგრეთვე განიხილება ქ.

თბილისი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები და დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული".

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივას წარმოადგენდა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კი, ძალაში შევიდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება შეიზღუდა და გაიზარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება, მათ შორის, სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების დანიშვნის უფლებამოსილებაც გადაეცა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად დონედ მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი) რჩება.

საბიუჯეტო პროცესი და საჯარო ფინანსები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები და საბიუჯეტო პროცესი, როგორც სახელმწიფო, ისე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით. ბიუჯეტის მიღება, ყველა დონის ხელისუფლების მიერ ხორციელდება დასაგეგმი წლის დაწყებამდე და ადგენს შესაბამის გეგმებს მომდევნო ერთწლიანი პერიოდისთვის. ბიუჯეტის მიღების პროცესი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მთელ რიგ პროცედურებს მოიცავს და მისადაგებულია შესაბამისი დონის ხელისუფლების 4-წლიან საშუალოვადიან გეგმებთან. აღნიშნული გეგმები სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში, ხოლო თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკებისთვის - შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტებში განისაზღვრება. წლიური ბიუჯეტის დანართები, ისევე, როგორც პრიორიტეტების დოკუმენტები განსაზღვრავენ შესაბამისი ბიუჯეტებით განსახორციელებელ პროგრამებს და მათი შესრულებისთვის საჭირო საორიენტაციო თანხებს დასაგეგმი და მომდევნო 3 წლისთვის.

ადგილობრივ თვითმმართველობებს გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტი. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები შედგება საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობებისაგან. საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება: ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები. არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება: კაპიტალური, სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები, სესხი და „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტი. თვითმმართველ ერთეულს საკუთარი შემოსულობების ხარჯვა შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებლად და თავისი შეხედულებისამებრ.

ცხრილი 1.6. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის გამოყოფილი ტრანსფერები, 2013

ტრანსფერის ტიპი	რაოდენობა (ათასი ლარი)	მთლიანი ტრასფერების %
გათანაბრებითი ტრანსფერი	750 296.1	70.2%
სპეციალური ტრანსფერი	307 333.6	28.8%
მიზნობრივი ტრანსფერი	10 825.9	1.0%
სულ	1 068 455.6	100,0%

წყარო: საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

<u>გათანაბრებითი ტრანსფერი</u> მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ფორმულით განსაზღვრული და გამოყოფილი თანხაა. მისი მიზანია მუნიციპალიტეტების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება მათი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით. ამასთან, გათანაბრებითი ტრანსფერით მიღებულ შემოსავლებს მუნიციპალიტეტი იყენებს საკუთარი შეხედულებისამებრ, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

<u>სპეციალური ტრანსფერი</u> გამოიყოფა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მიერ სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. ეს ტრანსფერი გამოიყოფა, მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მოვლენების სალიკვიდაციოდ გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისია.

<u>მიზნობრივი ტრანსფერი</u> გადაეცემა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტს დელეგირებული უფლებამოსილების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

<u>კაპიტალური ტრანსფერი</u> გადაეცემა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტს მიზნობრივი კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად.

მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის წლიური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული გადასაცემი ტრანსფერების გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონებში, ასევე, მიემართება:

სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტებისთვისთვის გათვალისწინებული სახსრები, რომელიც, ძირითადად, საერთაშორისო დონორების მიერ არის გამოყოფილი. ამ მიზნით, წლიურად 200-300 მლნ ლარამდე იხარჯება;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები მუნიციპალიტეტების სხვადასხვა საჭიროებებისათვის (შესაბამისი ტრანსფერის სახით), ასევე, სხვა მხარჯავი დაწესებულებებისთვის რეგიონულ საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხების დასაფინანსებლად. ამ მიზნით, 2014 წელს გათვალისწინებულია

250.0 მლნ ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი სახსრები, რომლის მაქსიმალური მოცულობა ყოველწლიურად დაახლოებით 50.0 მლნ ლარამდე განისაზღვრება.

რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა პოლიტიკის დოკუმენტები

მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020. სტრატეგიის მთავარი მიზანია, ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა მანაწილმა ინკლუზიური ანუ საყოველთაო ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. სტრატეგიის თანახმად, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას. თანმიმდევრული დეცენტრალიზაცია და სუბნაციონალური ერთეულების წამყვანი როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში ცალსახად განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. შესაბამისად, სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებისას, აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებები ითვალისწინებდეს თვითმმართველობების ჩართულობას და მათ საჭიროებებს, ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად.

ამავდროულად, სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროების მიერ მზადდება და მიიღება მთელი რიგი ყოვლისმომცველი სექტორული პოლიტიკის დოკუმენტები. მომზადდა კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი და გადაიდგა პირველი ნაბიჯები საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის მოსამზადებლად. ინფრასტრუქტურის განვითარების მიმდინარე პროგრამების მუშაობა გამოკვეთილად ცენტრალიზებულია საქართველოს რეგიონული განვითარების ზოგად მოდელთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა ისინი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, თუ მის დაქვემდებარებაში მყოფი საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ, აგრეთვე, შპს - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისა და შპს - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ.

გარდა იმისა, რომ **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს** „საქართველო 2020-ის“ განხორციელებაში მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება, მის დაქვემდებარებაშია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ასევე, ახლად შექმნილი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების, აგრეთვე, მეწარმეობის განვითარების სააგენტოები. ეს უკანასკნელი 2014 წლის მანძილზე ორ საპილოტე რეგიონში იმუშავებს და მისი აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი მომავალში, სწორედ, რეგიონულ დონეზე წარიმართება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასრულებს ახალ სტრატეგიაზე მუშაობას და მისი აქტივობები მთლიანად მიმართულია რეგიონებზე, სამინისტრო რეგიონულ დონეზეც ახდენს პროგრამების დიფერენცირებას ეკონომიკურად ნაკლებად აქტიური რეგიონებისთვის, სპეციალურად მომზადებული მიზნობრივი ინტერვენციებით.

სატყეო მეურნეობის განვითარებაზე პასუხისმგებელია **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო**, რომელიც, ამ ეტაპზე, მუშაობს საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის შემუშავებაზე. „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №343 დადგენილებით დამტკიცდა „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“. ასევე, დაგეგმილია საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განახლება. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს** მიერ მიღებული იქნა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია (2013-2020 წწ.), სადაც ნათლადა წარმოჩენილი რეგიონული საკითხები და ვალდებულებები, მათზე საჭიროებებისდა მიხედვით რეაგირებისთვის.

რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ინიციატივები

ქვეყნის რეგიონებში და ადგილობრივ თვითმმართველობებში ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს 2014 წლის თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანმიმდევრული იმპლემენტაცია. აღნიშნული კოდექსი, დეცენტრალიზაციის, სუბსიდიარობისა და მართვის ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით და „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპების“ შესაბამისად, ქმნის სათანადო სამართლებრივ საფუძვლებს თვითმმართველობის შემდგომი განვითარებისთვის – მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციონალური და რესურსული გაძლიერების და ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურებების გაუმჯობესების ხელშეწყობის კუთხით.

იგეგმება რეფორმირებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური და მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით, მათ შორის, ფისკალური დეცენტრალიზაციისა და ქონებრივი საკითხების მოწესრიგების კუთხით. კერძოდ:

i) განისაზღვრება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საშემოსავლო გადასახადის განაწილების პროპორცია და მექანიზმები;

ii) განხორციელდება ქონების გამიჯვნის პროცესის უზრუნველყოფა;

iii) განისაზღვრება მუნიციპალიტეტებისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერის მთლიანი ფონდის პროცენტული მიმართება ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან.

ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების ფისკალური შემოსავლების, მათი თვითკმარობისა და სოციალ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ზრდას.

რეგიონების განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს დატვირთვას ატარებს საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის კუთხით მიმდინარე სამუშაოები, რომელიც უკვე დასკვნით ფაზაშია. კოდექსი მოიცავს საქართველოში სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სისტემას, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების იერარქიისა და

შემადგენლობის განსაზღვრას, მათი შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურას, აგრეთვე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების, შენობა-ნაგებობისა და სამშენებლო მასალის ხარისხის მიმართ ძირითად მოთხოვნებს; მშენებლობის ნებართვის გაცემის, მშენებლობაზე ზედამხედველობის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესს.

აგრეთვე, უმნიშვნელოვანეს ამოცანად განიხილება საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წელს დამტკიცებული რეგიონების განვითარების ცალკეული სტრატეგიების ეფექტიანი იმპლემენტაცია, ისევე, როგორც მაღალმთიანი რეგიონების პოლიტიკასთან დაკავშირებული, უკანასკნელ პერიოდში ინიცირებული სამუშაოების წარმატებით დასრულება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში იგეგმება ერთიანი გეოინფორმაციული ბაზის შექმნა, სადაც დასახლებების, თემების და რეგიონების მიხედვით, ინტეგრირებული იქნება მრავალმხრივი სტატისტიკური ინფორმაცია (მაგ.: დემოგრაფიული მონაცემები; ეკონომიკური, გეოგრაფიული და ფინანსური მახასიათებლები; ინფრასტრუქტურული რესურსები და სხვა). გეოინფორმაციული ბაზის შექმნის მიზანია, საჭირო სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფილი იქნეს რეგიონული განვითარების სტრატეგიებისა და პროგრამების, მათი განხორციელების სამოქმედო პროგრამებისა და გეგმების მომზადების და ასევე, მიმდინარე დეცენტრალიზაციის რეფორმის პროცესი.

4.2 საერთაშორისო ხელშეკრულებები და დაფინანსების საგარეო წყაროები

საქართველოს მომავალ განვითარებაზე უმნიშვნელოვანესი გავლენა აქვს საერთაშორისო მხარდაჭერას. მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ ნაწილს. ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორები/დონორები, რომლებიც რეგიონული განვითარების კუთხით საქართველოსთან თანამშრომლობენ და ამასთან, მოკლედაა აღწერილი მათი ძირითადი აქტივობები საქართველოში.

ევროკავშირი

1999 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით რეგულირდება. 2007-2013 წლებში საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 452 მილიონი ევრო შეადგინა. 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, ასევე, ხელშეკრულებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ (DCFTA). ახალი პროგრამული დოკუმენტი (ერთიანი დახმარების ჩარჩო-დოკუმენტი) მხარეებს შორის 2014-2017 წლებში თანამშრომლობის საწინდარია და 3 პრიორიტეტულ დარგს მოიცავს: საჯარო ადმინისტრირების რეფორმას, სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მართლმსაჯულების რეფორმას. **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი** (EBRD) არის საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი, როგორც ფინანსური თანამშრომლობის კუთხით, ასევე, ევროპასთან ურთიერთობის გაღრმავების და ევროპული ინვესტიციების მოზიდვის კონტექსტში. EBRD-ის დაფინანსება საქართველოსთვის შეადგენს 1.8 მილიარდ ევროზე მეტს, დაახლოებით, 160 პროექტისათვის (მათ შორის, ენერგეტიკა, წყლის ინფრასტრუქტურა, მყარი ნარჩენების მართვა, საბანკო სექტორი, საწარმოების მხარდაჭერა

აგრობიზნესში და სხვა), საიდანაც დაფინანსების 78% მოდის კერძო სექტორზე. **ევროპის საინვესტიციო ბანკმა** (EIB) საქართველოში პროექტების დაფინანსება 2010 წლიდან დაიწყო და დღეის მდგომარეობით, როგორც საჯარო, ისე, კერძო სექტორში გამოყოფილია, დაახლოებით, 500 მლნ ევრო გზის, წყლის, ენერგეტიკის და საბანკო სექტორის მხარდაჭერისათვის.

მსოფლიო ბანკი

მსოფლიო ბანკი არის საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განვითარების პარტნიორი (Development Partner). დღემდე მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სუვერენული დაფინანსება საქართველოში შეადგენს, დაახლოებით, 2 მილიარდ აშშ დოლარს. მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული იქნა 2014-2017 წლების ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან (საქართველო 2020) და ითვალისწინებს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტების ჯამური ღირებულება, დაახლოებით, 500 მლნ აშშ დოლარია.

აზიის განვითარების ბანკი

აზიის განვითარების ბანკმა საქართველოსთან თანამშრომლობა 2007 წლიდან დაიწყო და აფინანსებს, როგორც საჯარო სექტორის, ისე, კერძო სექტორის პროექტებს. დღეის მდგომარეობით, აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოსთვის საჯარო სექტორში გამოყოფილია დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის რესურსი შეღავათიანი სესხის სახით.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია

ათასწლეულის გამოწვევის II კომპაქტის ფარგლებში საქართველოსთვის საგრანტო შეთანხმებას 140 მილიონი აშშ დოლარის ოდენობაზე გასული წლის ივლისში მოეწერა ხელი და იგი განკუთვნილია განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის (STEM) სფეროებში. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ პირველი კომპაქტის ფარგლებში გამოყოფილი იყო, ასევე, გრანტი, რომელიც მიმართულ იქნა სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციაზე, ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენი, მიწისქვეშა გაზსაცავის დიზაინი), რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა (წყლის და კანალიზაციის სისტემები) და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

სააგენტოს ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის მიმდინარე სტრატეგია საქართველოსთვის მოიცავს 2013-2017 წლებს და ამჟამად, იგი ახორციელებს ისეთ პროექტებს, რომლებიც ემსახურება ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას და კერძო სექტორის შესაძლებლობების გაზრდას; ხელს უწყობს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური

ზრდისთვის; უზრუნველყოფს ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას საქართველოს მოსახლეობის უკეთესი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ორმხრივი პროგრამები

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა საქართველოსთან ორმხრივი დახმარების პროგრამებს ახორციელებს. მათ შორისაა გერმანია, **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება** (GIZ) და **გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი** (KfW), აგრეთვე, **საფრანგეთი** და **ავსტრია**. გარდა ამისა, **შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო** (SDC) და **ავსტრიის განვითარების სააგენტო** (ADA) განსაკუთრებით აქტიურად იყვნენ ჩართული სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, ხოლო ბოლო პერიოდში, გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთად ახორციელებენ რეგიონული განვითარების მხარდაჭერის ფართომასშტაბიან პროგრამას. **შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო** (SIDA) სხვა დონორების სესხებით დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსებას ახორციელებს. აღნიშნული რესურსები მიიმართება მთავრობისთვის ისეთ პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან სფეროებში, როგორებიცაა: მყარი ნარჩენების მართვა, წყლის და წყალარინების ინფრასტრუქტურა.

თავი V. პროგრამის მიზნები და პრიორიტეტები

5.1 შესავალი

წინა თავში მოცემული იყო მთელი რიგი პოლიტიკების, სხვადასხვა ფაქტორებისა და აქტივობების აღწერილობა, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიოს საქართველოს რეგიონულ განვითარებაზე. აქ კი განისაზღვრება ამ პროგრამის მიზნები და საკვანძო პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებასაც უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა პროგრამის მე-3 თავში გამოვლენილ საჭიროებებზე საპასუხოდ.

არსებული გამოწვევების ბუნებისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, აგრეთვე, მათ გადასაჭრელად აუცილებელი ხელმისაწვდომი რესურსებსის მხედველობაში მიღებით, კანონზომიერია, რომ ყველა გამოვლენილ საჭიროებას ამ ეტაპზე პროგრამა ვერ უპასუხებს. შესაბამისად, მოცემული პრიორიტეტები ყველაზე გადაუდებელ და ძირითად საჭიროებებს უკავშირდება. ამასთანავე, თითოეული პრიორიტეტი ეხება ამა თუ იმ კონკრეტულ სექტორს ან თემას, რომელიც ეთანადება პროგრამის მიზნებს.

პროგრამის ძირითადი მიზნების განსაზღვრისას, აუცილებელი იყო ორი შედარებით მნიშვნელოვანი პროცესის გათვალისწინება:

- ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების სტრუქტურას, შესაბამისი პასუხისმგებლობების და რესურსების გადანაწილებას დიდი გავლენა აქვს საქართველოს რეგიონულ განვითარებასა და მის პერსპექტივაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარე პროცესის მონიტორინგი ეფექტიანად განხორციელდეს;
- ახლო მომავალში, ძალაში შევა საქართველოს სივრცითი განვითარების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს, როგორც ეროვნულ, ისე, რეგიონულ დონეებს.

5.2 საერთო მიზანი

პროგრამის საერთო მიზანი ადგენს მის საბოლოოდ დაგეგმილ ზემოქმედებას.

წინა თავებში წარმოდგენილმა ანალიზმა მკაფიოდ გამოავლინა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც იწვევს არათანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კერძოდ, ანალიზმა გამოავლინა დისბალანსი ე.წ. „დიდ თბილისსა“ (რასაც პირობითად შეიძლება ეწოდოს თბილისის ეკონომიკური არეალი) და დანარჩენ საქართველოს შორის. ქალაქ თბილისის გარდა, ანალიზმა გამოავლინა დისბალანსი მსხვილ ურბანულ და სასოფლო დასახლებებს შორის და აღინიშნა, რომ ქვეყნის ჩრდილოეთით შედარებით მეჩხერად დასახლებული მთიანი ზონები მძიმე გამოწვევების წინაშე დგას.

აქედან გამომდინარე, როგორც რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ეს პროგრამა ფოკუსირებულია ამ დისბალანსის გამომწვევი პრობლემების აღმოფხვრაზე და მისი საერთო მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს დაბალანსებულ და მდგრად სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში.

5.3 კონკრეტული მიზნები

პროგრამის კონკრეტული მიზანი აზუსტებს საერთო მიზნის მთავარ შემადგენლებს.

მე-3 თავში შემუშავებული განვითარების საჭიროებები შეიძლება დაჯგუფდეს ორ მთავარ კატეგორიად:

ა) პრობლემები, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებას და შესაბამისად, ნაკლებად განვითარებულ ზონებში სამუშაო ადგილების შექმნას ზღუდავს;

ბ) პრობლემები, რომლებიც იწვევს ცხოვრების დაბალ ხარისხს გარკვეულ ზონებში.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად ამ პროგრამას ორი კონკრეტული ამოცანა აქვს:

- ეკონომიკური განვითარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც დასაქმების დონე დაბალია;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოფლად და ნაკლებად განვითარებულ ზონებში.

ამ მიზნების მისაღწევად და, შესაბამისად, განვითარების ძირითადი, უკვე გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ, ქვემოთ განსაზღვრულია საოპერაციო პრიორიტეტების ნუსხა, რომელიც ქმნის პროგრამის ინტერვენციის მთავარ თემატურ მიმართულებებს. შესაბამისად, საქართველოში არსებული მწვავე რეგიონული უთანასწორობის პრობლემის გადაჭრა კონკრეტული პრიორიტეტების ერთობლიობით, ასევე, თითოეული მათგანის განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსებით და ყოველი მოცემული რეგიონის კონკრეტულ საჭიროებაზე რეაგირებით იგეგმება. თითოეული რეგიონის განვითარების სტრატეგიაში, მაგალითად, მოცემულია რეგიონის კონკრეტული პრიორიტეტების ჩამონათვალი. ანალოგიურად, საქართველოს მაღალმთიან ტერიტორიებზე არსებული მოწყვეტილი დასახლებების საკითხი დაკვირვების საგანია და შესაძლებელია, რომ ამ ტერიტორიების კონკრეტული საჭიროებების გადაჭრა ახლო მომავალში პროგრამის საშუალებით განხორციელდეს; იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო სტრატეგიის პროექტზე, რომელიც უკვე მომზადებულია კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების სოციალ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

რეგიონული განვითარების სტრატეგიები და მაღალმთიანი ტერიტორიების ან კონფლიქტით დაზარალებული ზონების განვითარება არ წარმოადგენს „პრიორიტეტებს“ ამ პროგრამის ფარგლებში. ეს დოკუმენტები დამხმარე პროგრამებია აღნიშნულ ადგილებში კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

5.4 პრიორიტეტები

პრიორიტეტი 1 - ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა

არსებული მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო, რომ თითქმის ყველა ტიპის ინფრასტრუქტურის უწყვეტი განვითარება უმნიშვნელოვანეს საჭიროებად რჩება საქართველოში, განსაკუთრებით კი, სოფლად. გარდა ამისა, ვინაიდან ქვეყნისთვის ბიზნეს-ინვესტიციების წახალისება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ინფრასტრუქტურის უწყვეტი განვითარება ამის ერთ-ერთ წინაპირობად უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნეს-გარემოს, მაგალითად, ტრანსპორტის და ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას.

ამავდროულად, გარდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებისა, ბიზნეს-გარემოს კონტექსტში, გამოიკვეთა ისეთი საბაზისო მომსახურეობების საჭიროება, როგორებიცაა: მაგისტრალური წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების შექმნა სოფლად, ასევე, ქვეყანის მასშტაბით გამწმენდი ნაგებობების სიმცირის პრობლემის გადაჭრა, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შეფასება და მასზე რეაგირება.

პრიორიტეტი 2 - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა

მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ არსებობს ეკონომიკური საქმიანობის და შესაბამისად, სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი ნაკლებობა მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი, ე.წ. „დიდი თბილისის“ საზღვრებს გარეთ. უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის და დასაქმებების შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლის თანახმად, პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ საქმიანობას მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, ითვლება დასაქმებულად. შესაბამისად, დასაქმების მონაცემები გარკვეულწილად შენიღბულია ნატურალური მეურნეობებისთვის დამახასიათებელი თვითდასაქმების კლასიფიკაციით, რომელიც ფართო გაგებით, ძნელად თუ ჩაითვლება ეკონომიკურ საქმიანობად. რეგიონული განვითარების პროგრამის ამ პრიორიტეტის აქცენტი იქნება ეკონომიკური საქმიანობის, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, რომელიც 2014 წლის აპრილში შეიქმნა.

პრიორიტეტი 3 - სოფლის მეურნეობის განვითარება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის ბევრ სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა კონცენტრირებულია რეგიონებზე ქალაქ თბილისის გარეთ. შესაბამისად,

აღნიშნული პროგრამები, ცალსახად, განიხილებიან რეგიონული დატვირთვის მატარებლად. ეს პრიორიტეტი მთლიანად სოფლად ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე და ეკონომიკის დივერსიფიკაციის წახალისებაზეა ორიენტირებული (იგი ფართოდ თავსებადია ევროკავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკასთან). პრიორიტეტი, ასევე, მოიცავს სატყეო დარგის მდგრადი განვითარების საკითხს, რომელიც პოტენციურად, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ აქტივად განიხილება.

პრიორიტეტი 4 - ტურიზმის განვითარება

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია; მას გააჩნია რეგიონული და სოფლის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ხელშეწყობის პოტენციალი. ტურიზმი ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის, ტურიზმთან დაკავშირებული დარგების (ტანსპორტი, ვაჭრობა და სხვ.) და სოფლის მეურნეობის, მათ შორის, პირველადი წარმოების განვითარებას. სექტორს განვითარების მაღალი პოტენციალი აქვს და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება დადებით ზეგავლენას მოახდენს რეგიონების განვითარებაზე. აღნიშნული, თავის მხრივ, მოითხოვს ტურიზმის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაზრდას, ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესებას და მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშეწყობას.

პრიორიტეტი 5 - ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეებზე

წარმოების სექტორის განვითარების მხარდასაჭერად, საჭიროა, მნიშვნელოვანი აქცენტი ადამიანური რესურსების გადამზადებასა და ტრენინგზე გაკეთდეს. კონკრეტულად, საქართველოს ესაჭიროება უფრო მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც ბიზნესის საჭიროებებს უპასუხებს. ეს მოითხოვს, როგორც ბიზნესის ცოდნის საჭიროების უფრო კარგად გაცნობიერებას, ისე, სათანადო სასწავლო დაწესებულებების არსებობას მთელს ქვეყანაში, ზემოაღნიშნული ცოდნის მისაღებად. ზოგადად, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა და კერძოდ პროფესიული განათლება საჭიროებს უწყვეტ რეფორმირებასა და საფუძვლიან განვითარებას. ეს პროგრამა კონცენტრირებულია პროფესიულ განათლებასა და გადამზადებაზე და, უფრო კონკრეტულად, იმ ძალისხმევის მხარდაჭერაზე, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლებისა და სწავლების გაუმჯობესებულ მიწოდებას რეგიონულ დონეზე.

გარდა ამისა, ნათელია, რომ სუბნაციონალურ დონეზე ინსტიტუციური შესაძლებლობების არცთუ მაღალი დონე რეალური ბარიერია ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, ამ პრიორიტეტის მიზანია ამ პრობლემის გადაჭრა ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელების გზით.

გარდა ზემოაღნიშნული ხუთი თემატური პრიორიტეტისა, პოტენციურად არსებობს ინტერვენციის ორი გეოგრაფიულად სპეციფიური სფერო, რომლის კოორდინირებაც ამ პროგრამის გათვალისწინებით შეიძლება განხორციელდეს:

რეგიონული განვითარების სტრატეგიების განხორციელება - მოსალოდნელია, რომ რეგიონული განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანი დაფინანსება იქნება გამოყოფილი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რეგიონული განვითარების ფონდი). იგულისხმება, უმთავრესად, ფიზიკური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება. სათანადოდ დადგენილი წესით, შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცედურების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტები შესაბამის პროექტებს რეგიონულ საბჭოზე განხილვის შემდეგ, წარუდგენენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (პირველადი განხილვა) და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას, მათი შემდგომი განხილვისა და შერჩევის მიზნით.

მაღალმთიანი რეგიონებისთვის გამიზნული პოლიტიკა - მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში აქტიურ ფაზაში შევა ახალი პოლიტიკის შემუშავების ინიციატივა საქართველოს მაღალმთიან ტერიტორიაზე მცხოვრებთა კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მიზნით. ინიციატივა ჯერ არ არის სათანადოდ ფორმულირებული, მაგრამ ნებისმიერი ასეთი ძალისხმევა რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილად მოიაზრება.

თავი VI. პროგრამული ღონისძიებები

ამ თავში მოცემულია ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც საქართველოს მთავრობა გეგმავს ამ პროგრამის ფარგლებში, უკვე განსაზღვრული ამოცანებისა და პრიორიტეტების შესაბამისად (ღონისძიებები შედგენილია წინა თავში მოცემული განვითარების პრიორიტეტების მიხედვით). მათ განხორციელებაზე ეფექტიანი მონიტორინგის ხელშეწყობისთვის, №2 დანართში მოცემულია 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის სახელმძღვანელო ფორმა, პასუხისმგებელი უწყებების მიერ, დადგენილი წესით, შესაბამისი ინფორმაციის წარმოსადგენად.

აღნიშნული ღონისძიებები სრულად არ ფარავს ყველა იმ აქტივობას, რომელიც საქართველოს საკუთარი რესურსებით თუ დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა დაფინანსდეს საქართველოში რეგიონების განვითარების მიმართულებით. ეს უფრო ძირითადი, სპეციალურად შერჩეული აქტივობებია, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მხრიდან პირველ პროგრამულ პასუხს რეგიონული უთანსწორობის პოტენციურად საზიანო პრობლემასა და ქვეყნის დაბალანსებული განვითარების საჭიროებაზე.

<u>შენიშვნა</u>: შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის პროგრამაში გაწერილი ინდიკატური ბიუჯეტები, შესაძლოა დაექვემდებაროს მნიშვნელოვან კორექტივებს მიმდინარე წლის და ყოველი შემდგომი წლის ბოლოს, საქართველოში არსებული საბიუჯეტო პროცესის ციკლის და ამ პროგრამის დამტკიცების პერიოდის გათვალისწინებით.

პრიორიტეტი 1- ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა - <u>ღონისძიებები</u>

1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები

ეს ღონისძიება ითვალისწინებს არსებული ტექნიკური სტანდარტებისა და მოსალოდნელი სატრანსპორტო მოძრაობის მოცულობის გათვალისწინებით, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფას. ეკონომიკური განვითარებისთვის არსებით ბარიერს წარმოადგენს ქვეყნის დიდ ნაწილში სათანადო გზების არარსებობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სატრანსპორტო მოძრაობის მზარდ მოცულობას ეხება.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 550 მილიონი ლარი
- 2016 – 570 მილიონი ლარი
- 2017 – 580 მილიონი ლარი

(შენიშვნა: ეს ბიუჯეტი მოიცავს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებს (რომლებიც საქართველოს რეგიონებზე გადის).

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

1.2 მყარი ნარჩენების მართვა

ეს ღონისძიება ითვალისწინებს რეგიონული ნაგავსაყრელებისა და სატრანსფერო სადგურების მშენებლობას თავდაპირველად იქ, სადაც ამის საჭიროება ყველაზე მეტია, ქვეყნის მთავარ ქალაქებსა და მათ შემოგარენში. ამ ღონისძიების მიზანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკის მინიმიზაცია (მაცხოვრებელთა რაოდენობის მიხედვით, ყველაზე დიდი ქალაქები და ის ნაგავსაყრელები, რომლებიც საცხოვრებელ ადგილებთან და მდინარეებთანაა ახლოს). საქართველოში 63 ყოფილი მუნიციპალური ნაგავსაყრელია. დღეისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ შპს - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის იურისდიქციას განეკუთვნება 54 მუნიციპალური ნაგავსაყრელის მართვა. მთავარ გამოწვევას წარმოადგენს არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელებზე განთავსება. ამ ეტაპზე პრობლემა არა მარტო ნარჩენების შემგროვებელი მანქანების არარსებობაა, არამედ, ახალი ნაგავსაყრელებისთვის სათანადო ადგილმდებარეობის განსაზღვრაც.

(შენიშვნა: ამჟამად, დაგეგმილია საქართველოს პარლამენტის მიერ ნარჩენების მართვის შესახებ კანონპროექტის განხილვა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით არსებული ნაგავსაყრელებისა და ახალი ნაგავსაყრელებისთვის საკანონმდებლო მოთხოვნებს, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების შესაბამისად. კანონის ძალაში შესვლისთანავე, რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა და მოქმედი ნაგავსაყრელების რემედიაცია განხორციელდება კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით).

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 10 მილიონი ლარი
- 2016 – 15 მილიონი ლარი
- 2017 – 15 მილიონი ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

1.3 წყალმომარაგება, საკანალიზაციო და წყალარინების სისტემები

ეს ღონისძიება მოიცავს ახალი საკანალიზაციო და წყლის გამწმენდი სათავე ნაგებობების რეაბილიტაციას და მშენებლობას, უკვე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას და რეგიონებში წყლის მრიცხველების დამონტაჟებას.

დღესდღეობით მიმდინარეობს წყლის სისტემების რეაბილიტაცია ქვეყნის დიდ ქალაქებში: ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდსა და მარნეულში. საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია იგეგმება ტურისტულ ცენტრებში: მესტიაში, ანაკლიასა და ურეკში, ასევე, 51 მუნიციპალურ ცენტრში. საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია დაგეგმილია თელავშიც. წყლის მიწოდების უსაფრთხოების მხრივ, ყველა დაგეგმილი აქტივობა მოიცავს წყლისა და კანლიზაციის სისტემების სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციას იმ ქალაქებში, სადაც ისინი გაუმჯობესებას საჭიროებენს ან საერთოდ არ არსებობენ.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 100 მილიონი ლარი
- 2016 – 120 მილიონი ლარი
- 2017 – 120 მილიონი ლარი

(შენიშვნა: ამ ბიუჯეტით გათავალისწინებულია წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, გამწმენდი სამუშაოები და სასმელი წყლით მომარაგება)

<u>განმახორციელებელი</u>: შპს - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და ძველი სამრეწველო ობიექტების დაბინძურებული ტერიტორიების მართვა

რთული მთიანი რელიეფის, სპეციფიკური კლიმატური პირობებისა და ადამიანის საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის გამო, საქართველოში ბუნებრივი კატასტროფები ხშირია. ძირითადი ბუნებრივი კატასტროფები (წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, მიწისძვრა, სეტყვა, ძლიერი წვიმა, ქარიშხალი, გვალვა, ნაპირების წარეცხვა და ა.შ.) მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ზიანს აყენებს ინფრასტრუქტურას და იწვევს უბედურ შემთხვევებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ადამიანის ყოველდღიური არსებობა რისკის ქვეშ დგება, ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზისათვის ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარება და შესაბამისი ანალიზის გაკეთება არსებითად მნიშვნელოვანია.

საქართველოს გარემოს დაცვის მეორე ეროვნული სამოქმედო პროგრამით (NEAP, 2012-2016) განისაზღვრა შემდეგი მოკლევადიანი მიზნების მიღწევა:

- ადრეული გაფრთხილების სისტემის გაუმჯობესება/მოდერნიზაცია;
- წყალდიდობების და მდინარის აუზებიდან წყალმოვარდნების უარყოფითი ზეგავლენის პრევენცია/შემცირება საქართველოში;
- ცალკეული სახეობის სტიქიურ მოვლენებზე (სეტყვა, გვალვა, თოვლის ზვავები) ხელოვნური ზემოქმედების სამუშაოების განახლება და სამრეწველო ობიექტებზე ავარიების რისკის შემცირება.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო (NEA) ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ და გარემოს დაბინძურების მონიტორინგს და ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფს ფაქტობრივ და საპროგნოზო ინფორმაციას ჰიდრომეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ და გარემო პირობებთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქვეყანაში არსებული სამრეწველო ობიექტები (განსაკუთრებით ისინი, სადაც იწარმოებოდა და/ან მუშავდებოდა ნავთობპროდუქტები, ქიმიკატები, პლასტმასები, მინერალები და სამშენებლო მასალები, მეტალურგიული და სამთო პროდუქტები) ავარიის ან გაჟონვის შემთხვევაში, დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან. გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოებას რისკს უქმნის არა მარტო მოქმედი სამრეწველო ობიექტები, არამედ ძველი ობიექტებისგან დარჩენილი მემკვიდრეობაც. ყოველგვარი უსაფრთხოების ზომების დაცვის გარეშეა მიტოვებული საქართველოს ზოგიერთი სამრეწველო ობიექტი, რომელიც წარმოებაში ნავთობპროდუქტებს და სხვადასხვა ქიმიკატებს იყენებდა. ნარჩენების

სახით ობიექტზე აკუმულირებული ნივთიერებები ხშირად სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე რჩება. არსებობს ამ ობიექტებიდან დაბინძურების რისკი და შეიძლება, იგი ბუნებრივი კატასტროფებისა და ადამიანის აქტივობის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა დაუყოვნებელი ზომების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სწორედ ასეთი ობიექტების გაუვნებელყოფას.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 5.1 მილიონი ლარი
- 2016 – 5.2 მილიონი ლარი
- 2017 – 5.3 მილიონი ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის, ბუნებრივი კატასტროფების რისკების პროგნოზირებისა და ასევე, განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების შესახებ წარდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განახორციელებს შესაბამის დამცავ და აღდგენით ღონისძიებებს, კერძოდ, - კატასტროფებისადმი მოწყვლად ადგილებზე ნაპირსამაგრი სამუშაობის განხორციელებას, ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი და უსაფრთხო განვლადობის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევალება დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და დამატებითი თანხების გამოსაყოფად საქართველოს მთავრობასა და დაზარალებულ მუნიციპალიტეტს შორის შუამავლის ფუნქციის შესრულება.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 5 მილიონი ლარი
- 2016 – 5 მილიონი ლარი
- 2017 – 5 მილიონი ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება

ტყეს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% უჭირავს და მისი სიმჭიდროვე ნახევარჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ტყის საშუალო სიმჭიდროვე მსოფლიოში. ტყეების უდიდესი ნაწილი ფერდობებზე იზრდება და, მხოლოდ, 2%-ია ვაკე; ჭალის ტყეებია კოლხეთის დაბლობსა და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში. ხეები, ძირითადად, ზრდასრულია და საქართველოს ტყეებში ყველაზე გავრცელებული სახეობა არის წიფელი.

საქართველოს ტყეებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა უკანონო ექსპლუატაციის და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გაჩენილი ხანძრის შედეგად. თუმცა ტყის სრული ინვენტარიზაცია ბოლო 20 წლის მანძილზე არ ჩატარებულა და დეტალური ინფორმაცია მათი მდგომარეობის შესახებ არ მოიპოვება.

ამ ღონისძიების მიზანია ტყის მდგრადი მართვა და გამოყენება ადგილობრივი თემებისთვის სარგებლის სამართლიანი და თანასწორი განაწილების უზრუნველსაყოფად.

იგი მოიცავს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

• ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;

• ტყის რესურსების მართვის არსებული ელექტრონული სისტემის შემდგომი განვითარება;

• სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;

• მერქნულ რესურსზე (მათ შორის, სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით;

• ტყეკაფების გამოყოფა;

• ტყეების მრავალმხრივი დანიშნულებით გამოყენების მექანიზმების შემუშავება;

• ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;

• ტყეების ეფექტიანად მართვისა და ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

• ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და ტყის ინვენტარიზაციის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;

• სახელმწიფო ტყის ფონდის დარეგისტრირებით ტყის ფონდის ტერიტორიების დაზუსტება, რითაც თავიდან იქნება აცილებული ტყის ფონდის ფრაგმენტაცია და ტყის ფართობების შემცირება.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 18 მილიონი ლარი
- 2016 – 18 მილიონი ლარი
- 2017 – 19 მილიონი ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

პრიორიტეტი 2- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა - <u>ღონისძიებები</u>

რეგიონებში ბიზნესის მხარდაჭერა ინსტიტუციური და პროგრამული ინიციატივებით

საქართველოში დარეგისტრირებული კომპანიების 60% მცირე და საშუალო ბიზნესს წარმოადგენს. აქედან 45% თბილისშია კონცენტრირებული. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში დარეგისტრირებული ბიზნესების დიდი უმრავლესობა ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს და მხოლოდ, ფორმალურად არსებობს.

ბიზნესის განვითარებისთვის კონკრეტულ გამოწვევას წარმოადგენს სათანადო

ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და რესურსების სიმცირე. საქართველოში მიკრო და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო. აღნიშნული სააგენტოს ძირითადი ფუნქციაა, 3 წლის მანძილზე, უზრუნველყოს დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა, ტექნიკური დახმარება და ბენეფიციარებისთვის კონსულტაციების გაწევა. საკონსულტაციო მომსახურებას სააგენტოს მიერ კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული გამოცდილი ბიზნესმენები, ექსპერტები და საკონსულტაციო ფირმები გასწევენ. 2014 წლისთვის დაგეგმილია ორი საპილოტე რეგიონის შერჩევა, რომლებიც, ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით სუსტი და მოწყვლადია. ეს საპილოტე რეგიონები შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე განისაზღვრება.

ამავდროულად, 2014 წლის ივნისში ამუშავდა ახალი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანი ახალი საწარმოების შექმნა და ადგილობრივი სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტიმულირებაა. სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო მომდევნო 3 წლის მანძილზე მხარს დაუჭერს მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ბიზნესის დაწყებასა და გაფართოებას. მაგალითად: ქაღალდის და მუყაოს, სამშენებლო მასალებისა და საფეიქრო წარმოებას; ხის გადამუშავებას; ელექტრომოწყობილობების წარმოებას; ფარმაცევტული, სადიაგნოსტიკო საშუალებების წარმოებას; მანქანათმშენებლობას; რეზინისა და პლასტმასის და ლითონის მზა ნაწარმის წარმოებას. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი, 2 წლის მანძილზე, მსესხებლისთვის 1%-დან 3%-მდე იქნება განსაზღვრული. სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო დაფარავს სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ს და სესხის თანხის უზრუნველყოფის 30%-ს, რათა საწარმოებმა მოგების რეინვესტირება შეძლონ.

<u>მთლიანი ინდიკატური ბიუჯეტი</u>

- 2015 – 20 მილიონი ლარი
- 2016 – 20 მილიონი ლარი
- 2017 – 20 მილიონი ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო.

პრიორიტეტი 3 - სოფლის მეურნეობის განვითარება - <u>ღონისძიებები</u>

3.1 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია

ეფექტიანი საირიგაციო და სადრენაჟო მომსახურების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი საფუძველია მსხვილი კერძო ინვესტირებისთვის მაღალი ღირებულების პროდუქციის საწარმოებლად. ღონისძიების მიზანია, სამელიორაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და სარწყავი წყლის მოხმარების პრაქტიკის გაუმჯობესება.

აღნიშნული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს და ამავე დროს, აუცილებელია, თანამედროვე სარწყავი სისტემების დანერგვა და პოპულარიზაცია.

ამ ღონისძიების საბოლოო ბენეფიციარები მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერები

იქნებიან. საირიგაციო ინფრასტრუქტურა, ძირითადად, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში იქნება ლოკალიზებული. რაც შეეხება სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაციას, სამიზნე რეგიონები იქნება იმერეთი, სამეგრელო, გურია და კახეთი.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 70 მლნ ლარი
- 2016 – 80 მლნ ლარი
- 2017 – 100 მლნ ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს - საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია.

3.2 შეღავათიანი აგროკრედიტი

სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის განვითარებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადგილობრივი ფერმერებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობა პირდაპირ დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის დანერგვასთან. ორივე მათგანისთვის კი ფინანსებია საჭირო.

ძალზედ მნიშვნელოვანია ფერმერებისა და აგრობიზნესისთვის ხელმისაწვდომი კერძო დაფინანსების უზრუნველყოფა, რაც სხვადასხვა ფინანსური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გარეშე შეუძლებელია.

დაგეგმილი პროგრამების შედეგად, განხორციელდება სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების გახსნა და არსებულის გაფართოება; სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება; სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების გაიაფება და ხელმისაწვდომობის ზრდა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გაცემის ფორმის განვითარება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირება.

შეღავათიანი აგროკრედიტის საშუალებით განხორციელდება სამთავრობო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ - სოფლის მეურნეობის მიმართულება. გამოყოფილია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: მეხილეობა-მებოსტნეობა; მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობების განვითარება; მესაქონლეობის ფერმები; მეფრინველეობის ფაბრიკები; მატყლის და ტყავის დამუშავება; დაფნის, ჩაის და თამბაქოს მოყვანა-გადამუშავება; კაკლის, თხილის და სხვა კაკლოვანების მოყვანა-გადამუშავება; ხილის, კენკროვანების, ბოსტნეულის და ციტრუსის გადამუშავება. კონკრეტული პროექტები შერჩეული იქნება კონკურსის საფუძველზე.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი</u>

- 2015 - 30 მილიონი ლარი
- 2016 - 30 მილიონი ლარი
- 2017 - 30 მილიონი ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

3.3 სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დაგეგმილი სხვადასხვა პროგრამები

სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით განხორციელდება ახალი, ინოვაციური აგრარული ტექნოლოგიების დანერგვა და გავრცელება; ახალი ჯიშების და ჰიბრიდების გავრცელება; აგრობიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნება; მცირე ფერმერთა (გლეხთა) კოოპერირება და მათი ეფექტიანი ფუნქციონირება.

ასევე, დაგეგმილია სურსათის უვნებლობისთვის საშიში რისკების პრევენცია და კონტროლის შესაბამისი ზომები; ლაბორატორიული კვლევების შესაძლებლობების გაძლიერება. ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება; განსაკუთრებით საშიში მავნებლებისაგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა; ქვეყნის ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობის ამაღლება; ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლება.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების მიმართულებით დაგეგმილია ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება; ვენახების ფართობების აღრიცხვა, რეგისტრაცია, პასპორტიზაცია, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტება; მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა და სხვა.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი</u>

- 2015 - 50 მლნ ლარი
- 2016 - 55 მლნ ლარი
- 2017 - 60 მლნ ლარი

<u>განმახორციელებელი</u>: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

3.4 მიწის ბაზრის განვითარება

დღესდღეობით, ქვეყანაში მიწის ბაზარი არ არის კარგად განვითარებული. სასოფლო-სამეურნეო მიწის, მხოლოდ, მცირე ნაწილი არის აღრიცხული და რეგისტრირებული სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. დაუზუსტებელია მონაცემები სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მეორადი ბაზრის განვითარების შესაძლებლობებს და კერძო ინვესტიციების განხორციელებას სოფლის მეურნეობაში. საქართველოს მთავრობა მიწის რეგისტრაციის პოლიტიკას და პროცედურებს ხელახლა განსაზღვრავს, რაც შესაძლებელს გახდის არსებული მიწის საკუთრების უმრავლესობის რეგისტრაციას.

ამგვარად, ამ ღონისძიების მიზანია მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია საპილოტე რეგიონის შერჩევა კარგი გეოგრაფიული მდებარეობით, კარგად განვითარებული თუ აღდგენილი სამელიორაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურით. შერჩევა შემდეგი რეგიონებიდან მოხდება: კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო და გურია.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 - 1,6 მილიონი ლარი
- 2016 - 1,6 მილიონი ლარი
- 2017 - 0,01 მილიონი ლარი

განმახორციელებელი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით).

პრიორიტეტი 4 - ტურიზმის განვითარება - ღონისძიებები

ტურიზმის განვითარების მრავალმხრივი ხელშეწყობა

საქართველოს ერთ-ერთ მთავარ აქტივს და ღირებულებას მისი მიმზიდველი საერთაშორისო ტურისტული მდებარეობა წარმოადგენს. თუმცა, საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალის შეფასებისთვის ანალიზი არ ჩატარებულა და კონსოლიდირებულ მონაცემთა ბაზა არ მოიპოვება. მეტიც, საქართველოს, როგორც საერთაშორისო ტურისტული დანიშნულების ადგილის, პოპულარიზაცია არასაკმარისად ხორციელდება და ქვეყანაში არსებული საინფორმაციო წყაროები განუვითარებელია, ასევე, დაბალია ისეთი ძირითადი უნარების დონე, როგორიცაა, სასტუმროების მენეჯმენტი და მომსახურება.

ამ ღონისძიების მიზანია, მოთხოვნისა და მიწოდების მთელი რიგი დაბალანსებული აქტივობებისა და ქვეაქტივობების საშუალებით, საქართველოს ტურიზმის მრეწველობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და წახალისება. აღნიშნული მოიცავს:

- ტურიზმის რესურსების და თითოეული რეგიონის პოტენციალის, მათ შორის, კულტურული და ბუნებრივი რესურსების კვლევას;
- შიდა და საერთაშორისო ტურიზმის პოპულარიზაციას;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ქსელის განვითარებას;
- ტრენინგების გზით, ტურიზმის მრეწველობაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას;
- მცირემასშტაბიანი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ინდიკატური ბიუჯეტი:

- 2015 – 10 მილიონი ლარი
- 2016 – 10 მილიონი ლარი
- 2017 – 10 მილიონი ლარი

განმახორციელებელი: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

პრიორიტეტი 5 - ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბ-ნაციონალურ დონეებზე - ღონისძიებები

5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა

საქართველოში უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალ-ეკონომიკური პრობლემა და მთავარი გამოწვევაა. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის, საერთო-ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფასთან ერთად, აუცილებელია, შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნა.

შრომის ბაზრის ზოგადი სურათის მისაღებად, აუცილებელია, მთელი რიგი

ინფორმაციის მოპოვება და შედარებითი ანალიზი, ანუ შრომის ბაზრის კვლევა, რათა განისაზღვროს სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსი. მსგავსი კვლევების სისტემატურად ჩატარებისა და ერთიანი საინფორმაციო ბაზის არსებობის გარეშე, რთულია სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირება.

შრომის ბაზრის კვლევის შედეგად მოხდება მონაცემთა სისტემატიზაცია: განისაზღვრება მოთხოვნადი და დეფიციტური კადრები, შეგროვდება ინფორმაცია იმ რეგიონებზე, სადაც, ამჟამად, კვალიფიციური კადრების დეფიციტია, მოხდება შრომის ბაზარზე მოსალოდნელი ტენდენციების განსაზღვრა და სხვა.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 200.000 ლარი
- 2016 – 200.000 ლარი
- 2017 – 200.000 ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

5.2 ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარება

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის საკვანძო მიმართულებაა მთელი ქვეყნის მასშტაბით პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 2013 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შექმნილი „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროების, მიზანშეწონილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისიის“ რეკომენდაციით (საქართველოს რეგიონებში ტრენინგების საჭიროების შესახებ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე) განისაზღვრა 26 ახალი კოლეჯის დაფუძნების საჭიროება, რომლებიც უპასუხებენ საქართველოს რეგიონებში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ გამოწვევებს და განავითარებენ მაღალი ხარისხის სერვისს.

აღნიშნული ინიციატივის განხორციელების მიზნით, საწყის ეტაპზე, დაგეგმილია ყოველ წელს მინიმუმ ერთი პროფესიული კოლეჯის დაარსება. ამასთან ერთად, დამატებით იგეგმება არსებული კოლეჯების ეფექტიანობის შეფასება, მათი განვითარების გეგმების რეგიონულ საჭიროებებთან მისადაგება, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და აღჭურვა.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 4 მილიონი ლარი;
- 2016 – 4 მილიონი ლარი;
- 2017 – 4 მილიონი ლარი;

<u>განმახორციელებელი</u>: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

5.3 პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სოფლის

მეურნეობის სამინისტროს და გაეროს განვითარების პროგრამას შორის ხელი მოეწერა საპროექტო დოკუმენტს: „პროფესიული განათლებისა და სწავლების და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემების მოდერნიზება“. პროექტის მიზანია, თავისი წვლილი შეიტანოს მაღალი ხარისხის პროფესიული სწავლებისა და სოფლის მეურნეობაში ექსტენციის სისტემების განვითარების საქმეში, რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში აისახება.

პროექტის ხანგძლივობა 6 წლის ვადით განისაზღვრა და ამ სისტემების განვითარების ხელშეწყობას 3 სხვადასხვა გზით განახორციელებს:

• მოხდება შვიდი პროფესიული კოლეჯის და შვიდი სახელმწიფო საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის დახმარება, რათა მათ შეძლონ უფრო მოქნილი და ინოვაციური, შესაბამისი და ეფექტიანი სასწავლო პროგრამების შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ამ სისტემებზე, მინიმუმ, 10 000 ფერმერს ექნება წვდომა;

• ხელი შეეწყობა კვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მრავალმხრივი სისტემების შექმნას, ფერმერებისთვის სხვადასხვა ტრენინგებისა და სერვისების შეთავაზებას და მათთვის პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გადაცემას ქვეყნის პარტნიორების და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტების დახმარებით;

• კერძო და საჯარო სექტორის გაძლიერებით პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის მოდელის ჩამოყალიბებას სოფლის მეურნეობაში, პროფესიული განათლებისა და სწავლების, აგრეთვე, საკონსულტაციო მომსახურების კოორდინაციისა და მიწოდების გზით. მოიხაზება საჯარო და კერძო სექტორის დაინტერესებული მხარეების ფინანსური რეზიუმე, მოიზიდება საერთაშორისო გრანტები (UNDP, SDC).

<u>ინდიკატური ბიუჯეტი</u>:

5.9 მილიონი აშშ დოლარი

(შენიშვნა: დონორი ორგანიზაციების – UNDP/SDC-ის დაფინანსება)

<u>განმახორციელებელი:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო; გაეროს განვითარების პროგრამა (შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით).

5.4 პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება

პედაგოგიური კადრების მომზადების, პროფესიაში შესვლის და შემდგომი პროფესიული განვითარების სისტემის არარსებობა პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მრავალი გამოწვევიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს. განათლების სისტემის რეფორმირებისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიულ მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (2013-2020) პრიორიტეტად

განისაზღვრა პროფესიული მასწავლებლების მომზადება და განვითარება თანამდროვე სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად; კომპეტენციის განვითარების მიზნით, სისტემატური და სისტემური ტრენინგების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ახალი კადრების მოზიდვა, არსებულის შენარჩუნება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან და მოკლევადიან ტრენინგებს. პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ და დაეუფლონ სასწავლო პროცესში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებას, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდებს, გაიზიარონ სწავლების წარმატებული პრაქტიკა და მიღებული ცოდნა გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

თითოეული ტრენინგის თემატიკა პროფესიული მასწავლებლის სტანდარტს, პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებელთა საჭიროების ანალიზს ეფუძნება.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი:</u>

- 2015 – 280 000 ლარი
- 2016 – 280 000 ლარი
- 2017 – 280 000 ლარი

<u>განმახორციელებელი:</u> სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

5.5 ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ტრენინგები

სუბნაციონალურ დონეზე ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების საკითხი, დიდწილად, უკავშირდება ადგილობრივ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლების საჭიროებას. აღნიშნული, კიდევ უფრო აქტუალური ხდება ამა წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ფონზე, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალ საჯარო მოხელეთა რაოდენობა, ვისთვისაც, სხვა საჯარო მოხელეებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი იქნება პროფესიული შესაძლებლობებისა და ცოდნის სათანადო განვითარება, შესაბამისი ტრენინგებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საშუალებით.

2014 წელს და შემდგომ წლებშიც, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და კერძოდ, სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი („CEGSTAR”), საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების (შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)) ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, გეგმავს ადგილობრივ თვითმმართველობებში და სამხარეო ადმინისტრაციებში დასაქმებულ მოხელეთა მრავალმოდულიანი ტრენინგების ციკლის ჩატარებას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ უკვე დამტკიცებული შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიხედვით.

<u>ინდიკატური ბიუჯეტი</u>:

400.000 აშშ დოლარი

(შენიშვნა: დონორი ორგანიზაციების – SDC, ADA, UNDP-ის დაფინანსება, რომელიც 2015-2017 წლებში, შესაბამისი პროექტის სხვა მომიჯნავე კომპონენტების ხარჯზე და/ან მათთან კომბინირებით, შესაძლოა გაიზარდოს)

<u>განმახორციელებელი</u>: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო /„CEGSTAR"; (SDC, ADA, UNDP).

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის სახელმძღვანელო ფორმა, პროგრამის მონიტორინგის ხელშეწყობისთვის (დანართი #2)

პრიორიტეტი		
ღონისძიება		
დასაბუთება		
მიზნები		
აქტივობები/ქვეღონისძიებები		
სამიზნე მიმართულებები, ჯგუფები, სექტორები		
ინდიკატორები & სამიზნეები	მყისიერი შედეგები (Outputs):	საბოლოო შედეგები (Results):
ფინანსური შეჯამება	მთლიანი ღირებულება სახელმწიფო ფინანსები საერთაშორისო სესხები საერთაშორისო გრანტები კერძო სექტორი	თითოეული აქტივობისთვის საშუალო ან მაღალი ღირებულება
პერიოდი & ვადები		
განმახორციელებელი უწყება/ერთეული		